[illegible]

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ყოველდღიური გაზეთი

# კომუნისტი

თბილისი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კოლხოზნოვის ქუჩა, № 4. ტელეფონები: საერთო—დილის 14—76. სტამბის—დილის—79.

ოთხშაბათი, 27 აპრილი, 1921 წ.

№ 46 საქართველოს კომუნისტურ პარტიის ცენტრალურ და თბილისის კომიტეტის და საქართვ. რევ.-კომიტეტის ორგანო. № 46

ამხ. მიხა ოკუჯავა აცნობებს ნათესავებს და ამხანაგებს თავის მეგობრისა და მეუღლის,

ეკატერინეს

უდროოდ გარდაცვალებას.

ცხედრის გამოსვენების შესახებ რუსთაველის პროსპექტიდან № 19 სადგურზე, გამოცხადებული იქნება ცალკე.

## ვემზადოთ

ჩვენ არა ერთხელ გვქონია ლაპარაკი მენშევიკების მუხანათობის, მათი მოღალატური გამოსვლების შესახებ რუსეთის სოციალისტური რევოლიუციის წინააღმდეგ. მთელი მათი მოღვაწეობა განსაკუთრებით ოქტომბრის დღეებიდან, ვიდრე უკანასკნელ წუთამდე იყო, არის და იქნება, სანამდი ეს პარტია პოლიტიკურათ არ დაიმარხება, ერთი განუწყვეტელი ჯაჭვი ამ ღალატის. ჩვენ ამას არ გვალაპარაკებს რაიმე „შურისძიების გრძნობა, რაც თავის თავადაც იქნებოდა ბუნებრივი და ზოგიერთ წრეებში არსებული სულიერი განწყობილების გამომხატველი, განსაკუთრებით იმ სისასტიკის და ჯალათობის გამო, რომელიც მიუძღვის მენშევიკებს ჩვენი პარტიისა და მისი წევრების მიმართ საქართველოში. ჩვენ არც კერძო პირებზე შევჩერდებით ამ ჟამათ, იმ პირებზე, რომლებიც გადაჭრითა და მთელი თავისი ენერგიით ატარებდენ და აწარმოებენ დღესაც ამ პარტიის პოლიტიკას. პარტიას აქვს თავის გარკვეული ხაზი და გაჰყავს ის ცხოვრებაში. და აი მთელ მის ტაქტიკურ ხაზში, მის პოლიტიკურ მუშაობაში ჩაქსოვილია ერთი დედა აზრი! ღალატი რევოლიუციის, ხელის შეწყობა მისი დაღუპვისათვის, დახმარება აქტიური ამ რევოლიუციის გააფთრებული მტრებისა. დროისა და გარემოების მიხედვით ეს „მუშაობა" ყალიბდება სხვა და სხვა ფორმებში, ის სხვა სახეს იღებს მაშინ, როდესაც პარტია უდგას სათავეში სახელმწიფოს, კიდევ სხვაა მაშინ როდესაც დაცილებულია ქვეყნის მართვა-გამგეობას, სხვა სამოსელში იმოსება ეს მოღალატობა მაშინ, როდესაც მისი ჩამდენი პარტია ატარებს ნახევრად ლეგალურ, ნახევრად არალეგალურ არსებობას, როგორც არის ეს ჯერ კიდევ ჩვენში და რამოდენიმეთ რუსეთშიაც რამდენადაც საქმე შეეხება ამ პარტიის იქ მომქმედ ზოგ ჯგუფებს. ამ „მოღვაწეობის" ფორმა სხვანაირია კიდევ საზღვარ-გარეთ იმისდამიხედვით თუ რომელი საზოგადოებრივი ჯგუფის ან კლასის წინ გამოდის თავის სიტყვით და მოქმედებით ეს პარტია. გამოუკლებლივ ყველა შემთხვევებში ეს „მუშაობა" სცემს ერთ წერტილს, მას აქვს დასახული ერთი და იგივე მიზანი: შეუქმნას რაც შეიძლება მეტი სიძნელე მუშათა რევოლიუციას, ტყუილებით, ცილის წამებით გაუტეხოს სახელი მის ხელმძღვანელ პარტიას და ამნაირათ ხელი შეუწყოს მის დასასამარებლად იარაღში ჩასმულ გააფთრებულ მტერთა ლეგიონებს. ყველა ერთნაირი არიან ამ მხრით, დაწყებული რუსეთის მენშევიკებიდან აქსელროდ-მარტოვის მეთაურობით, გათავებული განაპირა ქვეყნების მათი ამხანაგებით. ამ უკანასკნელთა რიცხვში არიან ქართველი მენშევიკებიც როგორც აქ დარჩენილნი დღეს, ისე ევროპისაკენ გაქცეულნი. ამ საქმეში მათი ხელის შემწყობია ევროპის ბურჟუაზიის აგენტურა, ყოფილ მეორე ინტერნაციონალის ნაფლეთებიდან შემდგარი. ამ ხალხის დახმარებით, მათი ჟურნალ-გაზეთების საშუალებით, ისინი უდგებიან კიდევ თავის სიტყვის სათქმელად ევროპის ზოგ მუშათა წრეებს, რომლებიც საკმაოთ თავბრუ დასხმულები არიან ჯერ კიდევ ეროვნული ბურჟუაზიის და სოციალ-შოვინისტების გავლენით, რომ ანგარიშში გაუწიონ და სარწმუნოთ მიიჩნიონ მათი სიტყვები.

ქართველი მენშევიკების შტაბი დღეს დროთა შეუბრალებელი ბრუნვით გადატანილია ევროპაში. გზა მათი ფართოა, შესაძლებლობანი ჩვენი რწმენით ცოტა, მარა მნიშვნელოვანი ამ შემთხვევაში ჩვენთვის ის არის, რომ მათ გარკვეული სურვილი ამოძრავებს. ეს არის საზოგადოებრივი აზრის რუსეთისა და ჩვენი ქვეყნის დღევანდელ ხელმძღვანელების წინააღმდეგ ამხედრება და სხვისი ძალებით ჩვენ შინაურ საქმეებში ინტერვენცია, იმ ძალების რომლებიც ჯალათათ გამოდიან ჩვენი დროის ყოველი განმათავისუფლებელი მოძრაობისა, როგორც შიგნით, თავის ქვეყნებში, ისე გარეთ. ამას არ მალავენ ჩვენი ხალხის მოღალატეები, არც შეუძლიან დამალონ. ჩვენი ამხანაგები ევროპაში საკმაოთ ძლიერნი არიან, მათ ხელში საკმაო საინფორმაციო საშუალებანია მოგროვილი, რომ გამოეპაროთ ისიც კი რაც ხდება იმ სახელმწიფო კანცელარიების ჟურნალებში სადაც ჩვენი გაქცეულების გაფაციცებული მუშაობა სწარმოებს დღეს. ჩვენ მათი საშვალებით დროზე გაფრთხილებული ვართ. ეს გარემოება გვავალებს ჩვენ განსაკუთრებულ სიფხიზლეს, განსაკუთრებულ ენერგიას და ფოლადისებურ ნებისყოფას მოსალოდნელ შესაძლებლობათა ანგარიშის გასაწევათ. ამ შემთხვევაშიდაც უფრო მეტათ დღეს ვინემ სხვა ბევრებში, ჩვენი არსებობა და რევოლიუციის განვითარება გადაჯაჭულია კავკასიაში არსებულ და რუსეთის დიდ ძმურ საბჭოთა რესპუბლიკების სიცოცხლესთან და განვითარებასთან. საერთო ფრონტი ბუნებრივი აუცილებლობით ჰქმნის მისწრაფებას უფრო და უფრო მჭიდრო კავშირისკენ მათ შორის იმ ფორმით, რომელიც ყველაზე მეტათ უზრუნველ ჰყოფს ჩვენ ბრძოლასა და ბრწყინვალე გამარჯვებას. მტრებს რევოლიუციისას, იმპერიალისტური და „დემოკრატიული" რეაქციის მოციქულებს კიდევ და კიდევ საშვალება მიეცემათ უკანასკნელათ დარწმუნდნენ რა გაუვალი რკინის და ცეცხლის სალტე აქვს შემოკრული რევოლიუციას აღმოსავლეთში. წითელი ლაშქარი რუსეთის, დაკავშირებული ჩვენი რესპუბლიკების რევოლიუციონურ ჯართან, რომელიც დღეს იდგამს ფეხს დაუმტკიცებს როგორც ჩვენ გარეშე მტრებს ისე მათ შინაურ აგენტებს ვისთან აქვთ საქმე საბჭოთა რესპუბლიკებთან ბრძოლაში. ფაქტიურათ ჩვენ საომარ წესის პირობებში გვიხდება მუშაობა და ეს უნდა იგრძნონ როგორც ჩვენმა შინაურმა მტრებმა ისე საჭირო ანგარიში გაუწიონ ამ მდგომარეობას ჩვენმა ამხანაგებმა და ამისდა მიხედვით წარმართონ მათ მთელი თავისი პოლიტიკური სიფხიზლე, მთელი თავისი ენერგია და ბრძოლის უნარი.

## საბჭოთა რუსეთის პრესა

### ბოლშევიზმი და კულტურა.

ბოლშევიზმს ბურჟუაზიული პრესა უპირდაპირებს კულტურას. ბოლშევიზმი კულტურის დარღვევა არისო,—ასე ამბობენ ბურჟუაზიული მწერლები. მაგრამ აი ფაქტები. ანატოლ ფრანსი, ევროპიული კულტურის სიმშვენიერე და სიამაყე, უყოყმანოდ გადავიდა ბოლშევიზმის მხარეზე. მე ვამბობ უყოყმანოდ იმიტომ, რომ, მე წარმოდგენილი მაქვს, ცოტა გაბედულება არ დასჭირდებოდა ამ ნამდვილ კეთილშობილ „აზროვნების არისტოკრატს", ამ ეპიკურელს – ინდივიდუალისტს, რომ მიეღო ჩვენი კოლექტივისტური მოძღვრება, რომელიც ძლიერ დაშორებულია მის მიერ განვლილ გონებრივ გზისაგან (უნდა გქონდეთ მხედველობაში, რომ ანატოლ ფრანსი ღრმად მოხუცებულია). ევროპიულ კულტურის მეორე ბურჯი ჰანრი ბარბიუსიც ჩვენს ბანაკშია. აგრეთვე ჩვენთან არის ბერნარდ შოუ (ეს უკანასკნელი ოფიციალურად არ შესულა კომუნისტურ პარტიაში, მაგრამ, როგორც გადმოგვცემს ლონდონელი „კომუნისტი", ის სცნობს პროლეტარიატის დიქტატურას და აწარმოებს კომუნისტურ პროპაგანდას). ამგვარად სამივე, რომელთაც ბადალი არა ჰყავთ, სამივე ბუმბერაზი, რომლებზედაც დაყრდნობილია ევროპის კულტურა, ჩვენთან არიან. სამივე ერთად,—მცხოვანი ანატოლ ფრანსი, რომელსაც, შეიძლება ასე ითქვას, ყველაფერი წარსულში აქვს; ახალი კულტურის მოციქული ჰანრი ბარბიუსი, რომელსაც ყველაფერი მომავალში აქვს და რომელიც მთელი თავის არსებით იმყოფება მომავალში; ბერნარდ შოუ—ეს მოაზროვნე ჟურნალისტი, მოაზროვნე პოლიტიკური მოღვაწე, კაცი დღევანდელი დღისა. ჩვენთვის ამ სამი ბუმბერაზის მოსვლა სრულებით არ არის მოულოდნელი; ისინი უნდა მოსულიყვნენ, იმათ არ შეეძლოთ არ მოსულიყვნენ. ეს იყო აუცილებელი. ისევე იყო აუცილებელი ამ სამი ბუმბერაზის მოსვლა, როგორც წასვლა პატარა, უმნიშვნელო კაცების ყველა ამ მერეჟკოვსკების, სპარგოების, ბერტრან როსელების. ამ პატარა კაცების მუცელი ბატონობს მათ გონებაზე, მათ არ შესწევთ ძალა ყოველდღიურზე, ჩვეულებრივზე მაღლა დადგნენ. ისინი არიან მონები ძველის და დახავსებულის. რას ამბობს, მაგალითად, ბერტრან როსსელი? ის ამბობს: „ის, რასაც ბოლშევიკები აკეთებენ, რაღაც უმაგალითოა". ეს ისეთი რამ არის, რაც ამდენხანს არ ყოფილა. მართალი გითხრათ, ეს რაღაც ახალია,—პატარა კაცებს ეშინიათ ახლის. ბუმბერაზები კი, რომელთა ზურგზე დაბჯენილია ევროპიული კულტურა, აზროვნების ტიტანები გვეუბნებიან: „ჩვენ ბოლშევიკებთან ვართ იმიტომ, რომ ეს არის რაღაც ახალი, ამდენხანს არ ყოფილი, მაგრამ გარდაუვალი". ბოლშევიზმი, კომუნიზმის ეს ტიტანიური ძალაა და ბუნებრივია, რომ პატარა კაცები თავზარდაცემულნი გარბიან ამ ძალისაგან, ტიტანები კი მიისწრაფიან ტიტანიურისაკენ. აზროვნების ბუმბერაზები ხედავენ, რომ კომუნიზმი უწინარეს ყოვლისა არის კულტურული ძალა, რომელიც მოწოდებულია შექმნას არა მარტო ახალი სოციალური წესწყობილება, არამედ თუ შეიძლება ასე ითქვას, მან უნდა შექმნას აგრეთვე ახალი გონებრივი წესწყობილება; იგი მოწოდებულია შესცვალოს არა მარტო საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმები, არამედ ძირიანფესვიანად შეანძრიოს მთელი კაცობრიობა მის უკანასკნელ კუნჭულამდე; იგი მოწოდებულია შექმნას ახალი ცა და ახალი დედა-მიწა და ახალი კაცი ახალ დედამიწაზე. პატარა კაცები თავზარდაცემულნი გარბიან, იმალებიან და პოულობენ მყუდროებას ძველს, დახავსებულ წესწყობილებაში; ბუმბერაზები თამამად სცილდებიან ძველს და დახავსებულს, მხიარულად ეგებებიან ახალ ცას, ახალ დედამიწას და ახალს კაცს ახალს დედამიწაზე. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ამხანაგო ანატოლ ფრანსო, ამხანაგო ჰანრი ბარბიუსო, და ჯერ კიდევ არა-ამხანაგო, მაგრამ მაინც ჩვენო ბერნარდ შოუ!

„უწყებები" ს. რ. ც. ა. კომიტეტისა.

ა. მ.

## რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობა

### ამხ. საფაროვის ეროვნულ საკითხზე თანამოხსენების დასასრული

კომუნისტური ინტერნაციონალის მეორე კონგრესმა აღიარა, რომ ჩამორჩენილი ხალხს მოწინავე ქვეყნების პროლეტარიატის დახმარებით შეუძლია უმტკივნეულოდ განახორციელოს კომუნისტური წესწყობილება. მაგრამ, რომ ამ ხალხმა მოახდინოს თანდათანობით გადასვლა კომუნიზმის სამეფოში, საჭიროა იმ პირობების უზრუნველყოფა, რომელიც ბაშკირებს, ყირგიზებსა და სხვ. საშუალებას მისცემს მუდმივად დაუბრუნდეს მიწას, და არა მუდმივ შინადრობაზე ხელი აიღოს. ამ ჟამად ეს ხალხი უდაბნოში სცხოვრობს, მთების წინა კალთებზე, და დიდი სურვილიც რომ ქონდეს, მიწათმოქმედებას მაინც ვერ დაიწყებს. ამავე დროს ბევრი ჩვენი ამხანაგი თითქოს მარქსისტულად მოაზროვნე აცხადებს: „ჩვენს წინაშე სდგას საკითხი, რომელიც უნდა გავარკვიოთ ეკონომიური თვალსაზრისით, მაღალ ეკონომიური ფორმების სარგებლიანობის თვალსაზრისით! და ხედავს რა ერთი მხრით ნებიერ „კულაკს", ხოლო მეორეს მხრით აოხრებულსა და წელში გაწყვეტილ ყირგიზს, რომელიც იმავე „კულაკთან" მიდის მუშა მოჯამაგირედ, ეს მარქსისტი ამბობს—კულაკის მეურნეობა უნდა დაცულ იქმნეს, რადგან იგი უმაღლეს ეკონომიურ ფორმას წარმოადგენსო. ეს არ არის შემთხვევითი, რადგან ცენტრის ქვემდებარე წარმომადგენელნი ავტონომიურ რესპუბლიკებში ფიქრობენ, რომ უფრო განვითარებულ ცენტრალ რუსეთში წარმოებული მთელი პოლიტიკა, მკაცრი სისწორით უნდა გამეორდეს განაპირა ქვეყნებში. ამის შედეგი არის ის რომ ჩვენგან გარბის ღატაკი, ქოჩად მავალი ხალხი. სავსებით რეალურად ჩვენ აღვნიშნავთ იმ მდგომარეობას, რომელიც შეიქმნა ნაციონალური და კოლონიალური უთანასწორობის გაუქმების. შემდეგ; ჩვენ ვამბობთ, რომ ეს უთანასწორობა, ჩვენი სურვილისა და ნების წინააღმდეგ ისევ არსებობს იმ მიზეზით, რომ ჩვენ ჯერჯერობით სავსებით ვერ შევსძელით კლასიური ბატონობის ლიკვიდაცია. ჩვენ ასე ვაყენებთ აღნიშნულ საკითხს.

გაზ. „პრავდა"-ში მოთავსებულ ამხ. სტალინის თეზისების მე 2 პარაგრაფის მე-3 კარისათვის ჩვენ შემოგვაქვს შემდეგი შესწორება... (კითხულობს სათანადო პუნქტს ა. წ. მარტის 10-ს „პრავდიდან", სადაც დაბეჭდილია ამხ. საფაროვის შესწორებანი).

ჩვენ უნდა შევეხოთ აგრეთვე მცირე საკითხს — ადგილობრივ მცხოვრებთა კლასიურად დაყოფის საკითხს. აქ, ამხანაგებო, უმრავლესობა რუსეთის ჩვეულებრივ საშუალო განვითარებულ კომუნისტთა წევრებისა, ფიქრობს, რომ, რაკი საქმე კლასიურ პოლიტიკას ეხება, აუცილებელია ერთი მხრით ვსდევნოთ რუსის „კულაკი" და მეორე მხრით ადგილობრივი ექსპლოატატორი, ადგილობრივი „კულაკი", მაგრამ უსათუოდ ერთსა და იმავე დროს და თანასწორი მასშტაბით. ეს „ერთსა და იმავ დროს", ჩვენ დარწმუნებული ვართ გამოიღებს მწარე ნაყოფს, აქედან მივიღებთ ჩვენ პირწავარდნილ რუსულ საკოლონიო პოლიტიკას და ნაციონალურ უფლება-აყრილობას საბჭოთა დროშის ქვეშ. უნდა ვაღიაროთ სრულიად გარკვეულად, რომ კლასიური დაყოფის პოლიტიკა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის, დაჩაგრულ ერთა შორის, უნდა აწარმოოს და განახორციელოს თვით ადგილობრივმა ღარიბ-ღატაკთა მასამ; საჭიროა ამ ღატაკთა დარაზმვა და გაწვრთნა, ხოლო ასეთი დარაზმვის პირობაა მათი თავის მოყრა, გაერთიანება უწინარეს ყოვლისა ჩვენი საკუთარი პოლიტიკით, რომელიც ნამდვილად მიზნად ისახავს ამ ხალხის სრულ განთავისუფლებას; მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დარწმუნდება ადგილობრივი ბოგანო მასები, რომ ჩვენ სრულიადაც არ ვაგრძელებთ ძველ ეკლიან გზას; მხოლოდ ამ შემთხვევაში გაიგებს იგი, რომ ჩვენ უფრო ერთგული და მტკიცე დამცველი ვართ მისი ინტერესებისა, ვიდრე მისვე საკუთარი „კულაკი" და ექსპლოატატორი.

ვადგევართ რა ამ აზრს, ჩვენ აუცილებლად მივაჩნია შემდეგი... (კითხულობს თავის თეზისების სათანადო მუხლს გაზ. „პრავდაში")

აქვე, ამხანაგებო, გადაჭრით უნდა ვაღიაროთ და განვაცხადოთ, რომ ჩვენ უნდა გამოვნახოთ ადგილობრივ ღარიბ-ღატაკთა ეკონომიური ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა—ეს არის პროფესიონალურ—კოოპერატიული ტიპის ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის საფუძველზე უნდა წარიმართოს ჩვენი სამეურნეო ორგანოების მოქმედება.

შემდეგ, აგრეთვე გარკვევით უნდა აღვნიშნოთ ის, რაც არ უნდა ხდებოდეს და არ უნდა ვქნათ განაპირა ქვეყნებში. მე მხედველობაში მაქვს იმ ორგანოების მოქმედება, რომელიც ცენტრს ექვემდებარება. (კითხულობს თავისი თეზისების სათანადო პუნქტს).

უკანასკნელი საკითხი, რომელიც სპეციალურად უნდა გამოვყოთ და დავაყენოთ, არის დაჩაგრულ ერთა კულტურული განვითარების საკითხი. უნდა ითქვას რომ ადგილობრივ ნაციონალურ ყოფა-ცხოვრების თავისებურობის მიმართ, ჩვენ პარტიის დღემდი ჰქონდა მხოლოდ ერთი მოთხოვნილება—ფრთხილი მოპყრობა, თავდაჭერილი მოქმედება. სიფრთხილე, რასაკვირველია, კარგი საქმეა, მაგრამ იგი სრულიად არ არის საკმარისი. როცა ჩვენს წინაშე პირდაპირ სდგას კლასიური დაყოფის პოლიტიკის ამოქმედების საკითხი. მას შემდეგ რაც ჩვენ ტახტიდან გადმოვაგდეთ რუსი ექსპლოატატორი „ქულაქი" და აგრეთვე ადგილობრივი ექსპლოატატორი მსხვილი ვაჭარი და მიწისმფლობელი. საჭიროა სწრაფი, ენერგიული მოქმედება. ადგილობრივ ცხოვრებას ჯერ კიდევ დაჰკრავს პატრიარქალურ-ფეოდალურ წყობილების ნაშთის ელფერი; შეიძლება მეტიც ითქვას—ფეოდალიზმი არსებობს რეალურად და რამდენადაც რელიგია, მუსლიმანური კანონი, შარიათი საზღვრავს სამოქალაქო და საოჯახო ცხოვრების მთელ ურთიერთობას, ამდენად, ეგ ფეოდალიზმი, თავს იჩენს ადგილობრივ მკვიდრ მცხოვრებთა მთელ კულტურულ სახეობაში. თავისთავად ცხადია, ამხანაგებო, კომუნიზმმა უნდა გამოსძებნოს საშვალებანი და ახალი, შესაფერი გზები საშვალო საუკუნობის კულტურის, იმ რკინის ნაჭუჭის გასარღვევად რომელიც გარს ახვევია აღმოსავლეთის ხალხთა მშრომელ მასებს და რომელიც დიდათ აბრკოლებს მის გონებრივსა და იდეოლოგიურ განვითარებას.

კომუნისტებმა უნდა გამონახონ მისადგომი გზები იმ ქვეყნისათვის რომელიც იზრდება კულტურულად და თვითგამორკვევის პროცესშია საკუთარი ენისა, ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების მხრივ. კომუნიზმი უნდა იქნეს მატარებელი მშრომელთა მასების ასეთი კულტურული განვითარებისა. მულა, ამხანაგები, იშანი, ულემა, ეს გახლავთ მდიდართა და განათლებულთა კასტა. ხოლო საშვალო საუკუნოების კულტურა ისეთია, რომ ეს მდიდართა და განათლებულთა კასტა თავის კლასიურ ინტერესებისათვის აწარმოებს ისტორიულ ტრადიციებისა და სარწმუნოების ექსპლოატაციას, რითაც ფრიად ხელს უშლის საბჭოთა ხელისუფლების საალმშენებლო მუშაობას, და აღმშენებლობითი შემოქმედებაში ღარიბ მასების ჩათრევას. კომუნიზმმა უნდა მონახოს თავისი გზა... ახალი, მოზარდი ძალები უნდა გახდნენ აღმოსავლეთის კულტურული აღორძინების მატარებლად; მულისა და იშანის ქადაგება უნდა შეიცვალოს შეგნებული კომუნიზმით; უზბეკი, ყირგიზი, ტურკმენი—პროლეტარი და ნახევრად—პროლეტარი უნდა გამოვიდეს საკუთარი ღარიბი მშრომელი ხალხის ეროვნულ და კულტურულ განვითარების წინამძღოლისა და მთავარსარდლის როლში.

კულტურული მოძრაობა აღმოსავლეთის ხალხთა შორის, რასაკვირველია, მეტად ღარიბია და საოცრად ჩამორჩენილი; აღმოსავლეთი ამ ჟამად რეფორმაციის ხანაშია, რომელსაც ჩვენ მთელი საუკუნოებით დავშორდით. ეხლა პირისპირ სდგას და ერთმანეთს ებრძვის ორი ძალა—ეს არის ერთის მხრით ძველი სამღვდელოება, სასულიერო კასტა, რომელსაც სურვილი აქვს აღმოსავლეთის ყველა ხალხმა ისწავლოს მხოლოდ ძველი ორფოგრაფიით, ისწავლოს მხოლოდ სასულიერო მეცნიერება და სხვ., და მეორეს მხრით, ახალი კულტურული ბურჟუაზიულ-ეროვნული ინტელიგენცია, რომელიც იცავს ახალ ორფოგრაფიას კულტურის განვითარებას და სხვ. რომ წარმოვიდგინოთ თუ რამდენად რეაქციონურია ეს ძველი კულტურა, საკმარისი იქნება აღვნიშნოთ, რომ მარტო წერა-კითხვისა და მუსლიმანური ხელწერილობის ძველ ორფოგრაფიაზე შესასწავლად საჭიროა ათითორმეტი წელიწადი. ადვილად გაიგებთ ამხანაგებო, რომ კულტურის ასეთი ფორმა, ასეთი იდეოლოგიური ფორმა, მასისათვის სრულიად მიუწდომელია

აი, ამ ძველ კულტურას, როგორც ლათინთა კულტურას, არ სწამს არავითარი ეროვნული სხვაობა, იგი აღიარებს, რომ ყირგიზი, უზბეკი, ტურკმენი, თათარი—ყველა წარმოადგენს მუსლიმანობას, და ყველა ერთ ტაფაში უნდა მოიწვას; ასეთი მდგომარეობა მეტად აფერხებს ეროვნულ-კულტურულ თვით გამორკვევისა და დაჩაგრულ ერთა მშრომელი მასების განვითარების პროცესს.

ვიღებთ რა მხედველობაში ზემოაღნიშნულს, წინადადებას ვიძლევით ამხ. სტალინის თეზისების მე 3 კარის მე-5 პარაგრაფს, რომელიც სპეციალურად ამ საკითხს ეხება, დაემატოს შემდეგი... (კითხულობს თავის თეზისების სათანადო პუნქტს).

ამხანაგებო, კომუნისტურმა პარტიამ ნათლად და გარკვევით უნდა აღიაროს, რომ ფართო მასასთან დაახლოვება—დაკავშირებისათვის საჭიროა იგი ალაპარაკდეს იმ ენაზე, რომელიც ესმის, გაეგება და რომელსაც ლაპარაკობს ადგილობრივი მაშვრალი ხალხი; კომუ-

# დღეს ნომერში:

ჩიჩერინის ნოტა.

საფრანგეთი არ ასრულებს კოპენგაგენში მიხწეულ შეთანხმებას რუსეთის მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ.

ამერიკამ უარი განაცხადა გერმანიას და ანტანტას შორის შუამავლობაზე.

---

ნისტური პარტია უნდა დაეხმაროს მშრომელ ხალხს კულტურული აღორძინებისათვის; მას არ უნდა ისეთი დახმარება, რომელიც ყველას ერთ მუსულმანურ ზღვაში გააერთიანებს; ჩვენი დახმარება უნდა წარიმართოს იმ ბაზით, რომ ხალხი მშობლიურ ენაზე, მის განკარგულებაში მყოფ, ყველა კულტურულ საშვალებათა გამოყენებით, დამოუკიდებლად დადგეს საკუთარ ფეხზე.

უკანასკნელი საკითხი, რომელსაც ჩვენ უნდა შევეხოთ, — არის ბრძოლა მუსულმანურ ნაციონალიზმის წინაამდეგ, რომელიც ზოგჯერ კომუნისტურ პარტიაშიც იჩენს თავს. აქ უნდა ვთქვათ შემდეგი: იმ სახით, როგორც ძველი ადგილობრივი კულტურის მომხრენი იცავენ პანთურქიზმსა და აღმოსავლეთის ხალხთა ერთ მთლიან თურქულ სახელმწიფოს იდეას, ეს არის ლოზუნგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ცენტრალიზმისა, რომელიც მშრომელ მასებს ადგილობრივ ექსპლოატატორთა ხროვასთან აკავშირებს.

ამ საკითხში, ამხანაგებო, პარტიულმა ყრილობამ სრულიად ნათელი აზრი უნდა შეიტანოს; ყრილობამ გადაჭრით უნდა სთქვას, რომ ჩვენ, ვაწარმოებთ რა გადამწყვეტ ბრძოლას კოლონიალურ პოლიტიკის წინაამდეგ, ამავე დროს, რა ნაკლები გაფთრებით, ვებრძვით ყოველგვარ ადგილობრივ ნაციონალიზმ, რომლის სულის ჩამდგმელი უმთავრესად არის ადგილობრივ ექსპლოატატორთა ზედასფეროები და დაჩაგრულ ერთა ნაციონალური ინტელიგენციის ის ნაწილი, რომელიც ასე თუ ისე მათი ინტერესების უშუალო მოსარჩლედ გამოდის. შემდეგ ამხანაგებო ჩვენ დაუყონებლივ და ენერგიულად უნდა შეუდგეთ წითელი ლაშქრის ორგანიზაციას ადგილობრივ ელემენტისაგან; ამ საქმეში დღემდი ჩვენ თითქმის არაფერი გაგვიკეთებია; ხოლო ვისაც სურს წითელი ლაშქარი და საერთოდ საბჭოთა ხელისუფლება მტკიცედ დაუკავშიროს და შეაყვაროს ადგილობრივ მასას, ვისაც სურს აგრძნობინოს ხალხს მისი უშუალო, ცოცხალი კავშირი, მისი სწორუფლებიანობა და თავისუფალი მდგომარეობა საბჭოთა რუსეთში, მან უნდა იკისროს გაბედული ნაბიჯის გადადგმა წითელი ლაშქრის პირადი შემადგენლობის სასწრაფო ინტერნაციონალიზაციისათვის.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ დამატება-შესწორებებს აზრათა აქვს გარკვეული კონკრეტიზაცია ჩვენი ინტერნაციონალური პოლიტიკისა განაპირა ქვეყნებში, ხოლო მათი მიზანია—მომავლისათვის უზრუნველყოფა იმ მდგომარეობისა, რომელიც ერთის მხრით თავიდან აიცდენს კომუნისტურ პარტიას ძველი თვითმპყრობელობის კოლონიზატორული პოლიტიკის გზაზე გადახვევას, და მეორეს მხრით მოსპობს ადგილობრივი ნაციონალიზმის სიმძაფრეს. (ტაში).

## საბჭოთა საქართველო

**საქონლის გაცვლა-გამოცვლა.**

**ბათომი.** 24 აპრილი. (ტელეგრაფით). უკანასკნელ დღეებში ბათომის ნავთსადგურში მოვიდა ანატოლიის ნავთსადგურიდან ექვსი მოტორიანი ნავი. იქით წავიდა 4. ჩამოსულ მეზღვაურების სიტყვით ანატოლიაში მწვავე ნაკლებობაა მარილისა და ნავთის. ჩამოსული ვაჭრები ამბობენ, რომ ანატოლია მოუთმენლად ელის საქონლის გაცვლა-გამოცვლის აღდგენას. კონსტანტინოპოლიდან ბათომის ნავთსადგურში მოვიდა 2 გემი „ვენეცია" და „სპარტა". გემებს თან ჩამოყვნენ თანამშრომელნი „ლოიდ-ტრიესტინა"-ს სააგენტოსი. ამ კვირაში მოელიან გემებს „ტრანს ფერდინანდს" და „რემოს".

**საქ. სამხედრო გზაზე** (დეპეშა კობიდან). დღეს, 25 აპრილს დავასრულეთ გზის გაწმენდა უღელტეხილზე. გზა გახსნილია ყოველგვარ ეტლისა და ავტომობილებისათვის.

პირველი დისტანციის უფროსი
**კვეზერელი.**

## საბჭოთა სომხეთი

**ერევანი** 22 აპრილი. (ტელეგრაფით) შაუმიანის სახელობის მუშათა სახლში შესდგა სომხეთის კომპარტიის ერევნის ორგანიზაციებისა და პროფკავშირების საზეიმო სხდომა. დარბაზი ხალხით გაჭედილი იყო. აუდიტორიაში იყვნენ წარმომადგენელნი მშრომელ მასისა, პარტიული ფართო წრეებისა და მთელი რიგი პასუხის მგებელ პარტიულ ამხანაგებისა. საქართველოდან ჩამოსულს ამხ. ორჯონიკიძეს და შალვა ელიავას შეხვდნენ მქუხარე ტაშით და ოვაციით. ამხ. აზატიანის შესავალ სიტყვის შემდეგ, სიტყვა ეძლევა ამხ. ორჯონიკიძეს, რომლის ტრიბუნაზე გამოსვლას შეხვდნენ დაუსრულებელ მქუხარე ტაშით. ამხ. ორჯონიკიძემ თავის დიდს სიტყვაში გაფანტა ის სიცრუე „საშიშ ბოლშევიკების" შესახებ, რომელნიც ვითომდა თავისი ბათალიონებით იერიშებს აწარმოებდნენ, რაც ელანდება დაშნაკელთა მთავრობას.

ჩვენი სიძლიერე, სთქვა ამხ. ორჯონიკიძემ, სიმართლისთვის ბრძოლაშია. და მტრის ხელში ერთი იარაღია—სიცრუე, იმისი შემწეობით მოქმედებს ჩვენ წინააღმდეგ. მთელი სიცრუე რუსეთისა და მის წითელ იმპერალიაზმის შესახებ ფუჭი და უსაფუძლოა. მთელს მსოფლიოში მხოლოდ საბჭოთა რუსეთი პატიოსნად და გულწრფელად ატარებს ცხოვრებაში პრინციპებს პროფესიონალურ თვით გამორკვევის თავისუფლებისას და ეხმარება დაჩაგრულ ერებს. საბჭოთა რუსეთი „ბატონი კი არა-სტუმარია". დაშნაკელები ლანძღავდნენ და აგინებდნენ რუსეთის შეიარაღებულ გლეხებს და მუშებს, დიდებულ წითელ არმიას. ჭორები საბჭოთა ხელისუფლების ძალადობისა და დაჩაგვრის პოლიტიკის შესახებ ურცხვად ვრცელდება ყოველ გზა-ჯვარედინზე. მაგრამ ყოველმა ჩვენგანმა უნდა შეიგნოს, რომ რუსეთის წითელი არმია სომხეთის საზღვრებში—ბატონი კი არა სტუმარია. მოვა დრო და ისიც წავა. მისცემს რა სომხეთის მშრომელთ ცხოვრების მშვიდობიანად მოწყობის საშუალებას.

ჩვენთვის საშიში არავინაა. ეხლა, როდესაც ამიერ-კავკასიის ყველა რესპუბლიკაში, საქართველოსა, სომხეთსა და აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლება არსებობს და დამყარდა რა მჭიდრო, პატიოსნური და ძმური კავშირი, შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენთვის საშიში არაფერია. ჩვენ, ძლიერნი ვართ ჩვენი სამართლით, ჩვენი რესპუბლიკების საბჭოთა რუსეთთან კავშირით ჩვენ გაბედულად შეუდგებით საერთაშორისო იმპერიალიზმთან ბრძოლას. გაუმარჯოს დამოუკიდებელ საბჭოთა სომხეთს.

**ამხ. შალვა ელიავას გამოსვლა.**

ამხ. ელიავამ აღნიშნა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მჭიდრო კავშირის პერსპექტივები. ამიერიდან, ამბობს ამხ. ელიავა, ჩვენ შორის აღარ იქნება დიპლომატია, რომლის გულმოდგინე შემომქმედნიც იყვნენ დაშნაკელები, მენშევიკები და მუსავატელები აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის წითელი არმიები ფრთხილად დაიცავენ მუშურ-გლეხურ ამიერ-კავკასიის საზღვრებს და საჭირო ჟამს ყოველი მათგანი მზად იქნება მიეშველოს მეორეს.

## საბჭოთა რუსეთში

**ჩიჩერინის ნოტა საფრანგეთის მთავრობისადმი.**

**მოსკოვი.** 25 აპრილი (რადიო). სახალხო საგარეო საქმეთა კომისარმა ჩიჩერინმა გაუგზავნა ახალი რადიო ტელეგრამა საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრს ბრიანს. საფრანგეთის მთავრობამ, ორხელ აცნობა თავის ვალდებულების ასრულებაზე, რომელიც გამომდინარეობდა კოპენგაგენის შეთანხმებიდან, მოქალაქეთა სამშობლოში დაბრუნების შესახებ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, მრავალი რიცხვი რუს ჯარის კაცთა აქამდის არ დაუბრუნებიათ სამშობლოში. კოპენჰაგენში მომხდარ შეთანხმების თანახმად საფრანგეთის მთავრობამ უნდა დააბრუნოს ყველა რუსი სამხედრო თუ სამოქალაქო პირნი, რომლებიც განაცხადებენ სურვილს საბშობლოში დაბრუნებისას. მან უნდა უზრუნველჰყოს ყველა დაბრუნებულნი სამგზავრო სახსრით ნავთსადგურებამდი, ან რუსეთის ან უკრაინის საზღვრებამდისინ, მაგრამ ის მაინც განაგრძობს რუს ლტოლვილთა მეტ წილის ბარბაროსულ მდგომარეობაში შენახვას თავის სამხედრო და სამოქალაქო კაზემატებში.

საფრანგეთის მთავრობა უარყოფს შეთანხმების პუნქტს, რომელიც ეხება რუსების სამშობლოში დაბრუნებას რუსეთის ან უკრაინის ნავთსადგურებამდე საფრანგეთის ხარჯით, და თანხმდება შეასრულოს ეს მხოლოთ რუსეთის მთავრობის ხარჯით, ან საშუალებით. რუსეთის მთავრობამ გამოიჩინა დიდი სულგრძელობა და მოექცა საფრანგეთის მთავრობას ნდობით, რომელიც ამ შემთხვევაში სრულიად უადგილო გამოდგა: იგი დასთანხმდა რუსეთში მყოფ ფრანგების სამშობლოში დაბრუნებას, კერძოთ საფრანგეთის სამხედრო მისიის წევრების დაბრუნებას, იმაზე უფრო ადრე ვინემ საფრანგეთი შეასრულებდა თავის მოვალეობას. მას არ შეუძლიან თავის-თავის დაცინვად არ იცნოს წინადადება გაგზავნოს მარსელში რუსის გემი იმის შემდეგ, რაც ანტანტამ და უმთავრესათ საფრანგეთის მთავრობამ, წაართვეს შავი ზღვის ყველა ნავთსადგურებს გემები და დაიჭირეს რუსეთის მთელი სამხედრო და კომერციული ფლოტი. რუსეთის მთავრობა სთვლის ერთად ერთ გამოსავლათ, რომელსაც შეუძლიან დააკმაყოფილოს სამართლიანი მოთხოვნები, გაგზავნოს საფრანგეთში რუსეთის საკონტროლო კომისია, რომელიც ადგილობრივ ადევნებს თვალს კოპენჰაგენის შეთანხმების შესრულებას.

**მთესავთა კვირა ბელორუსეთში**

**მოსკოვი.** 23 აპრ. (რადიო). მთესავთ კვირა ბელორუსეთში განსაკუთრებით საუცხოვოთ მიმდინარეობს. ინვენტარის შესაკეთებლად ქ. მინსკში და მოზირში რკინეულობა ერთიანად აღრიცხულია. ბორისოვში მელითონეებმა მოაწყეს შაბათობა 9,000 ფ. ხორბლის გადმოსატვირთავად. მცხოვრებლებთა შორის განაწილებულია 40 სამკელი და 60 სათესი მანქანა. მიღებულია 330 ვაგონი მასალა თესლეულობისა. მომარაგებულია 900,000 ფუთი თესლეულობა. სამხედრო ნაწილებს გამოჰყავთ თავის შემადგენლობიდან ხალხი და ცხენები წითელ არმიელთა ოჯახების და ღარიბ გლეხთა მიწების დასახნავათ.

**მიწის განოყიერება მადნეული პატივით.**

**პეტროგრადი.** 21 აპრ. (რადიო). გერმანიიდან იამბურგით საბჭოთა რუსეთში გამოიგზავნა 40 ვაგონი მინერალური პატივი.

**უკრაინაში.**

**კიევი.** 22 აპრ. (რადიო). კიევში დაარსებულია კულტურული კომისია მაზრაში საქონლის გადასაცვლელად. არსდება პუნქტები მაზრაში საქონლის გაცვლა-გამოცვლისთვის. რადომისლში დაარსებულია კომისია პურის, საქონლის და რძის ნაწარმოების მისამარაგებლად. საქონლის გადაცვლის ორგანიზაციაში მონაწილეობას იღებენ საგუბერნიო პროფ. კავშირები, რომელთა განკარგულებაშიც იმყოფება ფულის დიდი ფონდი.

**გლეხების სასურსათო გადასახადის შესახებ.**

**მოსკოვი.** 22 აპრილი. (რადიო) ჩებოქსარში შესდგა გლეხთა პირველი საოლქო კონფერენცია. სასურსათო გადასახადის შესახებ მოხსენების წაკითხვის შემდეგ, კონფერენციამ მოიწონა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა სასურსათო გადასახადის შემოღებით.

**ყირიმში.**

**სიმფეროპოლი.** 20 აპრილი. (რადიო) მექანიკურ ქარხანის მიერ, სევასტოპოლში შეკეთებულია მარტში 2 წისქვილი, წყლისაქაჩი და ორთქლმავალი. ნაყოფიერად მიმდინარეობს მუშაობა ბეშუკის შტოზე. გზა დამთავრებული იქნება 1-ლ მაისისათვის.

**მშრომელთა კეთილდღეობა.**

**მოსკოვი** 21 აპრილი (რადიო). ფართო მასებისათვის ეხლა ნათელია, რომ სასურსათო გადასახადის და გაცვლა-გამოცვლის თავისუფლების დეკრეტებს, მიზნათ აქვთ მშრომელთა კეთილდღეობა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ეს ეკონომიური შეთანხმება პროლეტარებსა და გლეხებს შორის არის ერთგვარი დათმობა პროლეტარიატის მხრით.

ეჭვს გარეშეა, სპეკულიანტური კაპიტალი შეიჭრება კოოპერაციაში, რომ. საზოგადო დროშის ქვეშ აწარმოოს კერძო საწარმოო კონტრაბანდა. ჩვენი მიზანია ჩავაყენოთ იგი განსაზღვრულ ჩარჩოებში 1) აუცილებელია არ გაიხსნას წვრილი კოოპერატივები: რაც მსხვილია კოოპერატივი, მით უფრო ადვილათ უკეთებს მას საზოგადოება კონტროლს და მით უფრო ფრთხილია იგი თავის საზოგადოების წინააღმდეგ სპეკულიატიურ მოქმედებაში. 2) მიღებულ დებულების თანახმად უმაღლეს ორგანოთ იქნება ერთიანი მომხმარებელი საზოგადოებანი. მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა ამ დაწესებულებებში იქნება კომუნისტური ელემენტები, კოოპერატივების მოღვაწეობა მიმართული იქნება მუშათა მასების ინტერესებისაკენ. დასასრულ კოოპერატივების მოწყობა უნდა მოხდეს არა ტერიტორიის, არამედ წარმოების პრინციპის მიხედვით. ორგანიზაციის ასეთი ფორმა დაიფარავს ჩვენს შემოქმედებით ენერგიას. კოოპირატიულ აღმშენებლობის პროფკავშირების ხელში კონცენტრაცია შექმნის განსაკუთრებულ მიზანშეწონილობას იმ კოოპერატიულ ციებ-ცხელების მაგიერ, რომელიც შეიძლება მოედოს ფართო წრეებს, და რომელიც გვიმზადებს საშიშ შედეგებს. წვრილი ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარული ორგანიზაცია. ციებ-ცხელების გატაცების წინააღმდეგი ფხიზელი მუშაობა. ეს უნდა შეიგნონ პროფკავშირებმა, რომლებმაც ამის შესახებ უნდა თქვან სიტყვა მეოთხე ყრილობაზე.

## საზღვარ-გარეთ

**კომუნისტური მოძრაობა გერმანიაში.**

**ბათომი.** 24 აპრილი, (ტელეგრაფით). უკანასკნელი გერმანული გაზეთები ამოწმებენ გერმანიის კომუნისტურ მოძრაობის გრანდიოზულ ხასიათს. დამახასიათებელია შემდეგი ცნობა: ქალაქ გირგოში ქალაქის თავმა დახმარება სთხოვა ამერიკის სამხედრო ხელის უფლებს; ამერიკის ჯარმა დაუყონებლივ დაიჭირა ქალაქი და დაატუსაღეს კომუნისტები. ქალ. ბეტლანში მოხდა გამწვავებული ბრძოლა. კომუნისტების მეთაური გენბერგი გმირულად მოკლულ იქმნა ბრძოლის დროს. რურის რაიონში დაიღუპა 50 კომუნისტი.

**მდგომარეობა გერმანიაში აჯანყების შემდეგ.**

**მოსკოვი.** 24 აპრ. (რადიო). საქსონიაში საშინლად გაძლიერდა უმუშევრობა, რომელიც ხდება დიდ უკმაყოფილების მიზეზათ.

**ამერიკა და გერმანია.**

**ლონდონი.** 24 აპრ. (რადიო). გაზეთი „ტაიმს"-ი აღნიშნავს, რომ ამერიკის პასუხი გერმანიის [illegible] 3 უმთავრეს იდეას შეიცავს: 1) [illegible]ებული შტატები უარს ამბობენ არბიტრის როლში გამოსვლაზე, 2) ისინი იწვევენ გერმანიის მთავრობას, რათა მან წარადგინოს ისეთი წინადადებანი, რომელიც საკმაო საფუძველს იძლევა განხილვისას, 3) თუ გერმანიის მთავრობა დაადგება ამნაირ მოქმედების გზას, ჩრდილო-ამერიკის შეერთებულ შტატებს შეუძლიანთ აღიარონ, რომ მოლაპარაკება დამთავრდება საჩქაროდ. შემდეგ გაზეთი აღნიშნავს, რომ გერმანელებს იმედი ჰქონდათ, რომ შეერთებული შტატების ჩარევით მოახდენენ ერთგვარ გავლენას მოკავშირეებზე, განსაკუთრებით საფრანგეთზე, რომელიც არის მთავარი კრედიტორი გერმანიისა. სრულებით ბუნებრივია შეერთებული შტატების უარი ამგვარ როლის შესახებ. იმ ფაქტმა, რომ გერმანიამ მიმართა ამერიკის შეერთებულ შტატებს შუამდგომლობის გასაწევათ, მიუხედავათ მის მიერ ხელმოწერილის ხელშეკრულობისა, აუხილა თვალები საფრანგეთის ამერიკელ მეგობრებს.

**გაფიცვა ინგლისში.**

**ლონდონი.** 20 აპრ. (რადიო). გემთა მშენებელ მუშების სინდიკატსა და პატრონებს შორის მოხდა შეთანხმება 1 ლ მაისიდან სამუშაო ფასის კვირაში 3 შილინგით დაკლების შესახებ. გაზეთები იტყობინებიან: თუ მხედველობაში მივიღებთ მემაღაროეთა განცხადებას და იმ პასუხს, რომელიც სამთო მრეწველობის მეპატრონეებმა მისცეს, არ არის არავითარი იმედი მუშაობის განახლებისა. სამთო მრეწველობის მეპატრონეთა კავშირი ადასტურებს, რომ მემაღაროენი უარს ამბობენ სამუშაო ფასის საკითხის განხილვაზე, სანამ არ იქნება მიღებული ორი უმთავრესი მოთხოვნილება.

**ინგლისი გაფიცვების მოლოდინში.**

**მოსკოვი.** 24 აპრ. (რადიო). ინგლისის რკინის გზელთა დოკერებმა, მემანქანეთა და შავ-მუშათა ორგანიზაციებმა გამოაქვეყნეს რეზოლიუციები, რომლებითაც ჰგმობენ შემთანხმებელ ბელადების საქციელს და გაფიცვისკენ მოუწოდებენ.

**ინგლისში უმუშევრობა იზრდება.**

**მოსკოვი.** 24 აპრ. (რადიო). ორ კვირაში უმუშევართა რიცხვი გაიზარდა 170,000 კაცით და ავიდა სულ 1,670000 კაცამდე.

**გერმანიის ქვეშევრდომებს ეკრძალებათ ინდოეთში შესვლა.**

**ბათომი.** 24 აპრ. (დეპეშით) ლონდონიდან დეპეშებით იტყობინებიან, რომ გერმანიის ქვეშევრდომებს 5 წლის განმავლობაში აეკრძალათ ინდოეთში შესვლა.

**საყოველთაო განიარაღება.**

**ბათომი.** 24 აპრილი (დეპეშით). ნიუ-იორკიდან იტყობინებიან, რომ გარდინგი შეიტანს კონგრესში საყოველთაო განიარაღების პროექტს. ამ საკითხზე გარდინგს მოლაპარაკება ჰქონდა ინგლისის და იაპონიის ელჩებთან.

**მთავრობის ტერორი რუმინიაში**

**მოსკოვი.** 23 აპრილს (რადიო) რუმინიის კომუნისტურ პარტიის მომავალ ყრილობის გამო რუმინიაში გამოჩენილ კომუნისტების დევნა და დატუსაღება გაძლიერდა. ტერორი განსაკუთრებით მძვინვარებს მოლდავიასა და ბესარაბიაში. ბუქარესტში დაატუსაღეს რუსეთიდან დაბრუნებული ამხანაგები რაბიჩი და პოპოვიჩი.

**ინგლის რუსეთის სავაჭრო ხელშეკრულობის გამო.**

**მოსკოვი.** 24 აპრილი. (რადიო). ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას არ აქვს საბუთი უკმაყოფილო იყვეს იმ ღონის ძიებით, რომლითაც რუსეთის საბჭოთა მთავრობა ანხორციელებს ამას წინედ დადებულ სავაჭრო ხელშეკრულებას.

**დამოკიდებულება პოლონეთთან.**

**მოსკოვი.** 24 აპრ. პოლონეთის საზავო დელეგაციის ხელმძღვანელმა დემბსკიმ პოლონეთის სეიმში განაცხადა, რომ ეხლა უნდა დაიწყოს მუშაობა პოლონეთ-რუსეთის შერეულმა კომისიამ, რომელიც განიხილავს მოლაპარაკების მხარეთა პრეტენზიებს და ვალდებულებებს. საზავო ხელშეკრულების დასამტკიცებელ სიგელების ურთიერთი შეცვლის შემდეგ, რომელიც ნამდვილათ მოხდება ხელშეკრულების თანახმად 12 მაისს, ვარშავაში მივა საბჭოთა მთავრობის ელჩი.

**დისპუტი საბჭოთა რუსეთის შესახებ ამერიკაში.**

**ბათომი.** 24 აპრ. (დეპეშით). ნიუ-იორკიდან იტყობინებიან: „კარნეგის ინსტიტუტში საჯარო კამათზე საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ დიდი უმრავლესობა მომხრე იყო საბჭოთა რუსეთის ცნობისა. მიტინგის ხელმძღვანელები შეეცადნენ კრების ჩაშლას, რომ შეუძლებელი ყოფილიყო რეზოლიუციის გამოტანა. აღელვებული ხალხი მუქარით მივიდა ესტრადასთან და ძლივ მოიშორეს პოლიციის შემწეობით.

**ცნობები საბერძნეთიდან.**

**ბათომი.** 24 აპრილი, (დეპეშით). უკანასკნელ ბერძნული გაზეთები ოფიციალურად ადასტურებენ საბერძნეთის ჯარის უკან დახევას, პრინც ანდრიას და გენერალ ტასოპულოს სიკვდილს.

**ჩემბერლენი.**

**ბათომი.** 24 აპრილი, (დეპეშით). ბონარ-ლოუს ადგილი ჩემბერლენმა დაიჭირა.

**ჰაერში.**

**ბათომი.** 24.4 (დეპეშით). ლონდონში დაამთავრეს დიდი ჰაეროპლანის გაკეთება, რომლის ძალა 4 ათას ცხენის ძალას უდრის და 100 მგზავრს წაიყვანს. ჰაეროპლანი იფრენს ლონდონსა და ნიუ-იორკს შორის.

**შუამავლობის უარყოფა.**

**ლიონი.** 23 აპრილი (რადიო). სახელმწიფო მდივანმა საიუჩმა, მოილაპარაკა რა პრეზიდენტ ჰარდიგთან გერმანიის მთავრობის თხოვნაზე შუამავლობის შესახებ, უარი განაცხადა ამ შუამავლობის გაწევაზე. ამერიკის მთავრობამ სურვილი გამოსთქვა, რომ გერმანელებმა მოკავშირეებს მისაღები წინადადება წარუდგინონ და რომ მოლაპარაკება განახლდეს.

**საფრანგეთის ბურჟუაზია და ფასების დაწევა.**

**ბათომი.** 24 აპრილი (დეპეშით). შარლ ჟიდი საფრანგეთის პრესაში ამჟღავნებს საფრანგეთის ბურჟუაზიის სურვილებს, რომელიც მიმართულია ფასების დაცემის წინააღმდეგ, ბურჟუაზია მალავს საქონელს, რომ ამით როგორმე შეაჩერონ საქონლის ფასების დაცემა.

## მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

**განმარტება**

შრომის სახალხო კომისარიატის 19 მარტის დადგენილების განსამტკიცებლად საყოველთაოდ ცხადდება, შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული საკონფლიქტო განყოფილება განიხილავს მხოლოდ ისეთ კონფლიქტებს, რომელნიც დაიწყო არა უგვიანეს 1920 წლის პირველ დეკემბრისა.

რაც შეეხება ამ ვადამდე დაწყებულ საქმეებს, მათი განხილვა შეიძლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს საქმეები სათანადო ორგანოებში (მომრიგებელი კამერა, საკონფლიქტო განყოფილება) პირველ დეკემბრამდე აღიძრა და დღემდე დამთავრებული არაა.

შრომის სახალხო კომისარი
**ლ. დუმბაძე.**

საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი **გ. ყურულაშვილი.**

კომისარიატის საქმეთა მმართველი **მ. ბერძნიშვილი.**

### ბრძანება № 44.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის 1921 წლ. აპრილის 10-ს დადგენილებით ამხ. ალ. ხვანიძე განთავისუფლებულია განათლების სახალხო კომისარის თანამდებობიდან და დანიშნული არის საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის გარეშე საქმეთა სახალხო კომისარად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე
**ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წლ. აპრილის 23.

### ბრძანება № 43.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლ. აპრილის 10-ს დადგენილებით ამხ. ალბერტ დუნტაუ, თანახმად მისი განცხადებისა, განთავისუფლებულია საქართველოს სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობის დროებით აღმასრულებისაგან.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონურ კომიტეტის თავმჯდომარე
**ფ. მახარაძე.**

რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წლ. აპრილის 22.

### დადგენილება № 10.

**საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტისა ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა მოსამსახურეების სამხედრო მობილიზაციისაგან განთავისუფლების შესახებ.**

1. რადგან ამ ჟამად რესპუბლიკა განიცდის ფოსტა-ტელეგრაფის უწყების მომუშავეთა დიდ ნაკლებობას, საქართველოს ს ს. რ. რევოლიუციონურმა კომიტეტმა დაადგინა: განთავისუფლებულ იქნენ სამხედრო მობილიზაციიდან ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის დაწესებულებების ყველა მოსამსახურენი.

**შენიშვ**: ეს მუხლი არა ვრცელდება ჯარის ხელმძღვანელთა შემადგენლობის (აფიცრებსა და უნტერ-აფიცრების წოდების) პირებზე, გარდა რადიო-ტელეგრაფის საქმის სპეციალისტებისა და ტელეგრაფის მექანიკოსებისა.

2. იმ შემთხვევაში, თუ გამოცხადებულ იქნება მობილიზაცია, როგორც გასაწვევი, ისე უფროსი წლოვანებისა, ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის უწყების ყველა მოსამსახურენი გაწვეული იქნებიან სამხედრო სამსახურში სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარისა და ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარის ურთიერთ შორის შეთანხმების მიხედვით.

საქ. ს. ს. რ. რევ. კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**; ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარი **კვირკველია**; რევკომის მდივანი **შ. გაბრიჩიძე.**

1921 წ., აპრილის 22.

თბილისი.—სახსლე.

## საბავშვო ინტერნაციონალი

(რუსულიდან).

ჩვენ ვართ ბავშვები მშრომელ ხალხის,
შრომის კომუნის ვარდები,
ჩვენ დავინახეთ კუთხე ალთქმის
გაგვეღო უცხო ბაღები.
ჩვენ დღეს არ ვიცით ჭირ-ვარამი,
თავი ვაღწიეთ სარდაფებს,
ბაღში სიცოცხლეა საამო,
იქ მზე მთელი დღე ანათებს.
ჩვენ მომავლის ჯეჯილი
ყანათ გადვიქცევით,
ახალ ქვეყნიერებას
სხივათა დავეფრქვევით.
ბაღთან გვაჩერებს ჩვენ ალერსით
მებაღე და გვეუბნება,
ბაღი ღიაა ყველასათვის,
ცელქთათვის კი იხურება.
შენ დაიბადე სასახლეში
თუ ქოხ-მახში ვინ დაგძრახავს,
აქ ვერ ნახავთ მდიდარს და ღარიბს,
თავს ყველა სწორათ ისახავს.
ჩვენ მომავლისა ჯეჯილი
ყანათ გადვიქცევით
ახალ ქვეყნიერებას
სხივათ დავეფრქვევით.

**სანდრო ეული.**

---

**ბრძანება № 42.**

**საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტისა.**

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის 1921 წლის აპრილის 10 დადგენილებით ამხ. მამია ორახელაშვილი განთავისუფლებულია გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის თანამდებობიდან და დანიშნულია საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის განათლების სახალხო კომისრად.

საქართველოს ს. ს. რ. რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე;** რევოლიუციონური კომიტეტის მდივანი **შ. ელიავა.**

1921 წლ. აპრილის 20
თბილისი.—სასახლე.

---

## ამხ. ფილ. მახარაძის მოგზაურობა დასავლეთ საქართველოში

(გაგრძელება)

**ბათომი.**

13 აპრილს, დილის 10—11 საათზე, ამხ. ფილიპეს მატარებელი ბათომის სადგურზე იყო უკვე ჩამომდგარი.

12, თუ 1-ლ საათზე მოვიდნენ ამხ. ფილიპესთან შემდეგი ამხანაგები: სერიოჟა ქავთარაძე, მალაქია ტოროშელიძე, შალვა ელიავა, თენგიზ ჟღენტი, ჯარის ნაწილთა სხვადასხვა წარმომადგენლები, და აჭარელთა „მეჯლისის“ ზოგიერთი წევრები.

გაიმართა ინფორმაციული საუბარი.

პირველნი ხაზს უსვამდნენ მენშევიკების მიერ შექმნილ და ნაანდერძევ მძიმე შოვინისტურ ატმოსფერას; ისინი აღნიშნავდნენ გამოცდილ პარტიულ მუშაკთა, რაც შეიძლება მეტი რიცხვის საჭიროებას მუშაობის გასაძლიერებლათ და ამ მოწამლული ატმოსფერის გასაფანტავათ.

ბათომ აჭარის ინტელიგენტ-ბეგებს აინტერესებდათ კითხვა იმის შესახებ, თუ როგორი პოლიტიკური პირობებით იქნება განსაზღვრული, საქართველოს საბჭოთა მთავრობის მიერ გამოცხადებული იმათი ავტონომია, და რა გვარი ეკონომიური დამოკიდებულება ექნება მათ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკასთან.

აქ ადგილი ჰქონდა მათში ერთს, მეტად შეუსაბამო, ახირებულ შეხედულებას: ისინი ჩვენც იმავე სახელით გვნათლავდნენ, როგორათაც მენშევიკებს.

...რახან მთავრობას ქართველები უდგია სათავეში, სახელმწიფოებრივ ენათ ქართულია დარჩენილი. აქ მათთვის თითქო არაფერია შეცვლილი: „ქართველი მთავრობა წავიდა, ქართველი მთავრობა მოვიდა“! ისინი არ ხედავენ, მათ არც უნდა დაინახონ აქ **საბჭოთა სისტემა** ახალი, **ბოლშევიკური** სახელმწიფო აპარატი, რომლის მიზანს შეადგენს დაჩაგრულ კლასთან ერთად დაჩაგრულ პატარა ერების ინტერესებიც დაიცვას ერთ და იმავე მტრისაგან - კაპიტალიზმისაგან.

ბოლშევიკებათ ისინი მარტო რუსებს სთვლიან; ქართველები კი ყველა იმ რწმენას და პოლიტიკის გამგრძელებლად მიაჩნიათ, როგორიც იყო მენშევიკები, ამ უკანასკნელთ აქ, თავიანთ ხანმოკლე არსებობის დროს მთელი თავიანთი სახელმწიფო აპარატის ძლიერება უმთავრესათ იქითკენ მიემართათ, რომ აჭარლები, და საერთოდ ყველა უცხო ერები გადაემტერებიათ.

ყველაფერი ეს იქმნა მხედველობაში მიღებული ამხ. ფილიპესაგან, რომელმაც მუშაობის შესაფერი ინსტრუქცია მისცა ამხანაგებს საღამოს გამართულ პასუხისმგებელ კომუნისტთა სხდომაზე.

14 აპრილს, დილით 12 საათზე თავისუფლების მოედანზე გაიმართა დიდი აღლუმი-მიტინგი, ქართველ და რუს წითელ-ჯარების.

აღლუმის მიღების შემდეგ ამხ. ფილიპემ, სერ. ქავთარაძემ, ალ. ერქომაიშვილმა, მუსულმან ორატორმა და წითელ ჯართა წარმომადგენელმა წარმოსთქვეს მოკლე, გრძნობით სავსე შინაარსიანი სიტყვები.

და შემდეგ დასასრულ დაიშალნენ მუსიკით ინტერნაციონალის სიმღერაში.

საღამოს 7 საათზე შმაილოვის თეატრის დარბაზში გაიმართა ბათომის ყველა კომუნისტთა შეერთებული კრება.

პარტიის წევრებით და კანდიდატებით გაჭედილი იყო დარბაზი.

კრება გახსნა ამხ. პევცოვმა.

პირველათ გამოვიდა მოხსენების გასაკეთებლათ ამხ. ფილიპე, რომელსაც კრება ხანგრძლივი ტაშის ცემით მიეგება. ის ფართოდ შეეხო, როგორც მსოფლიო კრიზის კაპიტალიზმით გამწვავებულს, ისე ჩვენს შინაურ პოლიტიკურ და ეკონომიურ მდგომარეობას. შემდეგ ის შეჩერდა მენშევიკების წარსულ მოღვაწეობის დახასიათებაზე, ხაზი გაუსვა მშრომელი ხალხისათვის მათი ნასაქმევთა მეტად მავნე, მძიმე შედეგებს, რომელიც დღევანდლამდის საგრძნობია კიდევ სამწუხაროდ, და სთქვა:—მენშევიკებმა მოსწამლეს შოვინიზმით ქართველი ხალხი; მენშევიკებმა გადაიმტერეს საქართველოში მოსახლე უცხო მეზობელი ერები და ჩვენ ეხლა იძულებული ვხდებით ამ მდგომარეობას, პასუხი გავსცეთ მთელი სიმძიმე ამ პასუხისა ჩვენ ვზიდოთ საკუთრათ, რაც ძლიერ გვიშლის ხელს, გვირთულებს საქმეს...

შემდეგ ილაპარაკა ამხ. ალ. ერქომაიშვილმა, რომელიც უმთავრესად შეეხო მენშევიკების მიერ მარქსიზმის გაყალბებას, მარქსიზმის ფალსიფიკაციას და დასკვნა: ჩვენ გვაქვს ორი გამოცდილება: 1 ლი აღმშენებლობა საბჭოთა რესპუბლიკების, და 2 რე—მოღალატე მენშევიკთა „სოციალიზმის ნაგემი“, აი ამ ორი გამოცდილებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ჩვენ როგორც პარტიული მუშაობის, ისე სახელმწიფო აპარატის მოწყობაში.

მრავალრიცხოვანი პარტიული კრება დაიხურა წევრების მიერ ინტერნაციონალის შესრულებით.

ღამის 10-11 საათზე მოვიდა ფოთიდან ზღვით წამოსული აფხაზეთის რევკომის თავმჯდომარე ამხ. ეშბა, რომელსაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა ამხ. ფილიპე მახარაძესთან სხვა და სხვა მეტად მნიშვნელოვან კითხვებზე.

**ხევსტი.**

(გაგრძელება იქნება)

---

## პატარა ფელეტონი

**ბინობიადა.**

„სერგო! გეფიცები, მენშევიკების ბატონობის დროს უკეთეს მდგომარეობაში ვიყავი! ბინა მაინც არ მქონდა საზრუნავი: მეტეხის ციხეში ვიჯექი არხეინათ მეცხრე კამერაში და ცა ქუდათ მიმაჩნდა-დედამიწა ქალამნათ! ყველაფერს ვიფიქრებდი, მარა ამას კი ვერა, რომ ჩვენი ძალა-უფლება იქნებოდა საქართველოში და მე კი, ძველი მუშა, უბინაოთ დავრჩებოდი! დანარჩენი შენ იცი...

15 მარტი.

ამხ. სალამით შენი **დომენტი.**

---

**„მესამე უბნის საბინაო ქვეგანყოფილების ზედამხედველს.**

წინადადებას გაძლევთ საჩქაროთ აღმოუჩინოთ ბინა თქვენ მიერ რწმუნებულ რაიონში ამხ. დომენტი თავდუმაძეს.

18 მარტი.

საბ. განყ. თავმ. **ს. მეგრელიშვილი“.**

---

„ამხ. სერგო! ამ წერილის მომტანი ისიდორე ხლაფორთაძე ჩემი ძველი მეგობარია. მართალია, მენშევიკი არის, მარა სხვებსავით მოწამლული არ არის. ახლა თითქმის თანამგრძნობიცაა. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა დავჩაგროთ, ვინც უნდა იყოს! საქმე იმაშია, რომ მაგის ბინაზე ასახლებენ ვიღაც დ. დ. თავდუმაძეს. რაღა ამას მიაგნეს, კაცო; ნუ თუ რომელიმე გაქცეული მენშევიკის ბინა ველარ აღმოაჩინეს? იმედია, ხათრს დამდებ და არ შეაწუხებინებ ამ ადამიანს.

ამხ. სალამით შენი **სილია.**

23 მარტი.

---

**„მესამე უბნის საბინაო ქვეგანყოფილების ზედამხედველს.**

ისიდორე ხლაფორთაძის ბინაზე ჩასასახლებელი ორდერი, მიცემული დ. თავდუმაძის სახელზე, გააუქმეთ. თავდუმაძეს აღმოუჩინეთ სხვა ბინა.

საბ. განყ. თავმჯდომარე **ს. მეგრელიშვილი.**

25 მარტი.

---

„მეგობარო სერგო! კაცო, ასეც არ შეიძლება! გამოვიდა განკარგულება, რომ ყველა გაქცეულებს, რომლებიც დაბრუნდებიან, თავიანთი ბინები დაუბრუნდებათო. თითქმის ყველა გაქცეულები ბრუნდებიან ეხლა, მარა მათი ბინები უკვე სხვებისაგან არის დაჭერილი! აი თუნდა ამ წერილის შენთან მომტანის ბინა! ალფესი წყილტყავმძრომელიძე ეს არის დაბრუნდა ბათომიდან. მის ბინაზე კი ვიღაც თავდუმაძეს თუ თავდიდაძეს ასახლებს თურმე თქვენი ზედამხედველი. მოახდინე განკარგულება, რომ არ ჩაასახლონ თავდუმაძე და დაუბრუნონ ბინა წყილტყავმძრომელიძეს.

1 აპრილი. **შენი ლევანი“.**

---

**„მესამე უბნის საბინაო ქვეგანყოფილების ზედამხედველს.**

მიიღეთ შესაფერი ზომები, რომ წყილტყავმძრომელიძე დაბინავებულ იქნეს თავის ძველ ბინაზე. თავდუმაძეს კი სხვა ბინა აღმოუჩინეთ.

4 აპრილი. თავმჯდომარე **ს. მეგრელიშვილი.**

---

„სერგოჯან! ყველაფერი მეგონა, მარა შენ თუ მაჭანკლობას დეიწყებდი—ეს კი თავში აზრათ არ მომსვლია! კაცო, ამ წერილის შენთან მომტანს, ელპიტი კაპასიძისას, მართალია ქმარი არ ყავს ჯერ, მაგრამ საქმრო ამორჩეული ყავს და დანიშნულიც არის. გაქცეული კი იყო, მარა ამ დღეებში დაბრუნდება ალბათ მანიფესტის ძალით. შენ კი ამ ქალს ვიღაცა თავდუმაძეს უსახლებ ბინაზე! კაი ბიჭი ყოფილა, დასაწუნარი არაფერი აქვს, მაგრამ ამ ქალს კი მაინც მისი არჩეული საქმრო ურჩევნია!.. სხვა შენ იცი აწი, როგორ მოიქცევი.

8 აპრილი. შენი **შალვა.**

---

„ძმაო სერგო! გასაქცევი მე და ჩემისანები ყოფილან, თვარა მენშევიკებს რა მიარბენინებდათ თურმე იმ სულელებს! შე კი კაცო, „ჩერეზვიჩაინი“ შენ ხარ და „ტროიკა“,—რა შეიქნა ამისთანა, რომ ერთი ოთახი ვერ მიშოვენე ამდენიხანს? მეტეხის მეცხრე კამერა კი გამიხადე სანატრელად და სხვაი შენ იცი! მიშველე რამე, თუ ძმახარ, თვარა მომბეზრდა თავი ამხანაგების ბინებზე წოწიალით.

ამხ. სალამით **დ. თავდუმაძე.**

---

**„მესამე უბნის საბინაო ქვეგანყოფილების ზედამხედველს**

მიიღეთ ენერგიული ზომები დ. თავდუმაძის ბინის საშოვრათ. შედეგები შემატყობინეთ.

15 აპრილი. **ს. მეგრელიშვილი.**

---

**„საბინაო განყოფილების თავმჯდომარეს ამხ. ს. მეგრელიშვილს.**

ამით გაუწყებთ, რომ თანახმად თქვენი განკარგულებისა, დ. თავდუმაძეს აღმოუჩინე ბინა ველიამინეს ქუჩაზე, № 12, ბინა, 3, სადაც ჩასახლდება, როდესაც კი მოისურვებს, რადგან ბინა ცარიელია და ანგარიშში არის აღებული.

19 აპრილი.

ქვეგანყ. ზედამხ. **ჩიქოვანი.**

---

**„ორდერი № 33456**

ველიამინეს ქ. № 12, ბინა 3 აღებულია ანგარიშში საბინაო განყოფილების თავმჯდომარის ამხ. ს. მეგრელიშვილის ჩასასახლებლათ.

კოლეგიის წევრი **კალანდარიშვილი''.**

15 აპრილი.

---

**„ორდერი № 33476**

ველიამინეს ქ. № 12, ბინა 3 აღებულია ანგარიშში ამხ. ს. თოდრიას, „სობეზის“ ნარკომის ჩასასახლებლათ.

საბ. განყ. თავმჯდ. **ს. მეგრელიშვილი“.**

16 აპრილი.

---

**„დახაცავი ბარათი**

ველიამინეს ქ. № 12, ბინა 3, რომელიც უჭირავს მოქ. აქსენტი ტიკჭორაძეს, ხელუხლებელია რეკვიზიციისა და ჩასახლებისაგან.

ქალ. რევკ. თავმჯდომარე **ს. თოდრია''.**

15 მარტი.

**გაზ. „კომუნისტის“ ქრონიკიდან ამონაწერები:** „გუშინ, 19 აპრილს მიხეილის საავადმყოფოში მოათავსეს ჩვენი პარტიული ამხანაგი, ძველი მუშა დომენტი თავდუმაძე, რომელსაც აღმოაჩნდა სახადი მძიმე ფორმით.

— გუშინ, 19 აპრილს სობეზის ნარკომი ამხ. ს. თოდრია გაემგზავრა ახალქალაქის მაზრაში მთავრობის მინდობილობით.

— საბინაო ქვე განყოფილების ზედამხედველი ჩიქოვანი დაინიშნა საბინაო განყოფილების კოლეგიის წევრათ“.

ნამდვილთან სწორია **ხ. თ—რია.**

---

## ქრონიკა

**მუშა-მოსამსახურეთა განთავისუფლება.** შრომის სახალხო კომისარიატის ცირკულიარის თანახმად, აღდგომის უქმეების გამო მუშა-მოსამსახურენი სამსახურიდან სრულიად თავისუფლდებიან 30 აპრილს (დიდს შაბათს) და აღდგომის პირველსა და მეორე დღეს. 1 და 2 მაისს.

◆ **ზეგლარ ზეგლარიძის (ახოსპირელის) გარდაცვალების გამო.** სახელმწიფო დრამის თეატრის დირექცია, რეჟისურა და მსახიობნი აუწყებენ საქართველოს მოქალაქეთ, სახელმწიფო დრამის თეატრის დამსახურებულ მოკარნახის ზეგლარ ზეგლ. (პოეტ ახოსპირელის) გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 საათზე. საკუთარ ბინაზე, მეძევოთ ქ. № 1. გამოსვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

◆ **სახალხო უნივერსიტეტის რეორგანიზაცია,** პოლიტიკურ განათლების მთავარ მართველობამ მოახდინა სახალხო უნივერსიტეტის **ძირითადი რეორგანიზაცია.** კვირას 8 მაისს საღამოს 6 საათზე მოხდება ამ განახლებული უნივერსიტეტის საზეიმო გახსნა, რომელსაც დაესწრებიან პროფესიონალური

---

## ამხ. კატო ოკუჯავას გარდაცვალება.

გუშინ 26 აპრილს ხანმოკლე ფილტვების ავადმყოფობის შემდეგ მოსწყდა სიცოცხლეს, თუმცა სუსტი ჯანით, მაგრამ ჯერ კიდევ ახალგაზრდა იმედის მომცემი ამხ. კატუშა ოკუჯავა,—მეუღლე სასურსათო კომისრის—მიშა ოკუჯავასი.

განსვენებული ერთი აქტიურ მუშაკათ ითვლებოდა საქარ. კ. პ. ც. კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილებისა.

---

კავშირების, პარტიულ ორგანიზაციების საზოგადო და კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

◆ **დახმარება ახალქალაქის მაზრას.** საქ. ს. ს. რესპუბლიკის რევკომმა გაგზავნა ახალქალაქის მაზრაში სპეციალური კომისია სოც. დახმარების სახალხო კომისრის ს. თოდრიას მეთაურობით. კომისიამ ადგილობრივ უნდა გამოირკვიოს ოსმალეთის ჯარების შეტევით დიდათ დაზარალებულ ახალქალაქის მაზრის მცხოვრებთა გაჭირვება.

◆ **კრედიტები მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს.** პირადი შემადგენლობის შესანახავათ და აპრილსა და მაისის სამეურნეო საწარმოვო გადაუდებელი ხარჯების დასაფარავად მიწათმოქმედების სახ. კომისარიატმა ახალი ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა და დამტკიცებამდე ავანსის სახით მოითხოვა 3,000,000,000 მან.

◆ **რკინის გზებზე საათის ისრის გადაწევა.** ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების რკინის გზების გაერთიანებით საჭირო გახდა ამ გზებზე მატარებლების მიმოსვლის შეთანხმება: ამის გამო, უნდა შემოღებული იქმნეს მოსკოვის ოპერატიული დრო, რომელიც თბილისის დროს წინ უსწრებს 1,5 სთ. საათით. ისრის გადაწევა მოხდა ამ წლის 24—25 აპრ.

◆ **ორთქმავლები:** 21 აპრილს საქართველოს რკინის გზებზე იყო ორთქმავლები: შესაკეთებლად 217, მოძრაობაში იმყოფებოდა სრულიად გამართული 55, მანიოვრებისთვის 30, მუშათა მატარებლებთან 13, არსებით შეკეთებიდან გამოვიდა 1. სულ 415 ორთქლმავალი.

◆ **წიგნთსაცავის საქმე.** სახალხო განათლების მთავარ პოლიტიკურ განათლების განყოფილების წიგნთსაცავის ცენტრალურ ქსელის გამგედ დანიშნულია გ. ფ. ჩურსინი.

◆ **მილიციაში.** ქ. ტფილისის მილიციის უფროსის სამართველოს საქმეთა მმართველი ლ. პ. მიხაილოვსკი დაინიშნა რესპუბლიკის მილიციის მთავარ სამმართველოს უფროსის განკარგულებაში. მის ადგილზე დაინიშნა შ. პ. კილურაძე.

---

## ხელოვნება

**სამხატვრო-ეროვნული გალერეია.**

ხელოვნების განყოფილების წინადადებით სახალხო განათლების კომისარიატის კოლეგიამ დაადგინა: გადაიდოს 30,000,000 მანეთი ხელთნაწერების და სურათების შესაძენათ, სამხატვრო-ეროვნულ გალლერეიისათვის.

**ხელოვნების სასახლეში.**

ქართულ ხელოვნების სასახლეში სწარმოებს სისტემატიური ორგანიციული ლიტერატურული კრებები, პირველი ორგანიზაციული კრება მოხდა სამშაბათს 19 აპრილს, პოეტი გრიგოლ რობაქიძე გამოვიდა მოხსენებით თემაზე „ნოვალისის პოეტიკა“. მომხსენებელმა აღნიშნა ფრიად საინტერესო ეტაპები და ნოვალისის შემოქმედების მომენტები. გრიგოლ რობაქიძის მოხსენება მოსმენილ იქმნა დიდის ყურადღებით მრავალ რიცხოვან ქართველ მწერალთა მიერ განზრახულია მთელი წყება მოხსენებებისა სალიტერატურო თემებზე. ამ კრებაზე დასწრება ყველას შეუძლიათ.

---

## ცენტრალურ მუშათა კლუბის საზეიმო გახსნა

კვირას, 24 აპრილს საღამოთი პლეხანოვის პროსპექტზე, „კინოპალასი“-ს შენობაში მოხდა ცენტრალურ მუშათა კლუბის საზეიმო გახსნა.

დარბაზი გაჭედილი იყო სხვა და სხვა საპასუხისმგებლო დაწესებულებათა წარმომადგენლებით.

გახსნას დაესწრენ რევკომის თავმჯდომარე ამხ. ფილიპე მახარაძე, მისი მოადგილე ამხ. მამია ორახელაშვილი, შრომის კომისარი ამხ. ლადო დუმბაძე, ს. კ. პ. ც, კ. მდივანი ამხ. სანდრო თუმანოვი, ცენტრ-პროფკავშირის მდივანი ამხ. გიორგი ყურულიშვილი, კავკავიდან ჩამოსული ამხ. ფიგატნერი და სხვა.

პირველათ შესრულებული იქმნა მომღერალთა გუნდის მიერ „ინტერნაციონალი“.

შემდეგ წარმოსთქვეს სიტყვები—ამხ. ფილიპემ, მამიამ, წითელ არმიელთა წარმომადგენელმა, ნ. ცერცვაძემ, რუხაძემ, ფიგატნერმა, და გ. ყურულიშვილმა, რომლებმაც საერთოდ აღნიშნეს კლუბის მნიშვნელობა მუშათა კლასის განვითარებისთვის, და კულტურულათ წინ წაწევის საქმეში.

შემდეგ ხსენებულ მუშათა კლუბის სათეატრო დარბაზში დაიდგა ერთ მოქმედებიანი პიესა რევოლიუციონური ცხოვრებიდან აღებული ქართულათ და რუსულათ.

პირველათ ითამაშეს ერთმოქმედებიანი „დაჭრი ი ორბი“, აქ აღებულია რევოლიუციის წინა ხანები, როდესაც ადგილი ჰქონდა კაპიტალისტების მიერ მუშების გაყვლეფას, შევიწროებას, შიმშილს და შემდეგ ამიტომ წარმოშობილ გაფიცვას, აჯანყებებს.

სცენაზე მოსჩანს დრამის სამი გმირი მხოლოთ—ლეო (ა. ხოროვი) გაფიცვის მეთაური—ხელმძღვანელი მუშა; ოლია (ქ. ჰიჭინაძე) მისი და, და სტუდენტი ია (გ. მიქელაძე) ოლიას სატრფო, ლეოს კარგი მეგობარი, რომლის შესახებ შემდეგ ირკვევა, რომ ჯაშუში არის.

აქ აჯანყებაში დაჭრილი ლეო შემოვარდება თავის ქოხში დასთან, შეესწრება დის მოტრფიალე ჯაშუშ სტუდენტ იას და საკუთარი ხელებით წაახრჩობს როგორც მოღალატეს.

ამ დროს ისმის აჯანყებულ მუშების ხმაურობა, სროლა, რევოლვერების ტკაცუნი.

პიესის შესახებ უნდა ვსთქვათ შემდეგი:

თემა საინტერესოა როგორც წარსულის დახასიათება, მომენტიც კარგად არის აღებული, მაგრამ აკლია მხატვრული ხელი.

მოთამაშეებიც მკრთალი იყვნენ შედარებით.

შემდეგ დადგეს რუსულად—„პროლეტარკა“. აქ აღებულია ხანა, როცა პეტერბურგის პროლეტარიატმა **კერენსკის** გამოგლიჯა ძალაუფლება.

სცენაზე ვხედავთ პროლეტარ ცოლქმარს **სოკინს**—მოწინავე მუშას, მებრძოლთა ხელმძღვანელს—(ძაჩალოვი) თავის ცოლით (პეროვსკაია) და პატარა ბავშვით, რომლებთანაც შემდეგ, როცა სროლა შეიქნება, ზარბაზანთა გუგუნი ანძრევს კედლებს, შემოდიან თოფით ხელში ამხანაგები—(აბრამოვი, ლანგე) და ემზადებიან ბრძოლის ველათ, ბარრიკადებზე გასასვლელათ... სოკინიც აღარ აყოვნებს. იგი შორს ისვრის სანტიმენტალობას პაწია ბავშვის და აცრემლებულ ცოლის დატოვებით გამოწვეულს და შემდეგი სიტყვებით ემშვიდობება: მე თუ მოვკვდე ბრძოლაში, ნუ დამიტირებ, ცრემლებს ნუ დააფრქვევ მტრის მიერ განგმირულ შენს რევოლიუციონერის გვამს, აღზარდე ჩვენი ბავშვი პეტია ისე და შენც მოიქეცი როგორც პროლეტარ ქალს შეეფერება“.—ამხანაგებთან ერთად თოფით ხელში გარეთ გამოიჭრება.

მარტოთ დარჩენილი დედა აქ მიუჯდება თავის ბავშვს პეტიას და უამბობს პატარა „ზღაპარს“ რევოლიუციონურ ცხოვრებაზე.

ცოტა ხნის შემდეგ შემოჰყავთ მძიმეთ დაჭრილი ამხ. სოკინი, რომელიც უკანასკნელათ ზეზე ჰამოიჭრება და შემდეგი სიტყვებით:—„წინ, წინ ბრძოლაში, ბარრიკადებზე ამხანაგებო“,—ათავებს სიცოცხლეს.

აქ ცოლიც აღარ დააყოვნებს,—ჩაიცვამს ქმრის ტუჟურკას, გადაირტყამს ფალასკას, დაიჭერს თოფს ხელში და შემდეგი სიტყვებით:—დიახ, მე მოვიქცევი ისე, როგორც პროლეტარ ქალს შეეფერება“-ო წასულ ამხანაგებს გაჰყვება უკან ბარრიკადებზე საბრძოლველათ, რომ განაგრძოს სოკინის შეწყვეტილი ბრძოლა.

დრამა თავდება ამით.

თვით პიესამ და მისმა კარგათ შესრულებამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე.

აღსანიშნავი იყვნენ ამხ. პეროვსკაია და მაჩალოვი.

პიესა ძლიერ შინაარსიანი აღმოჩნდა მეტად სასურველია, რომ ვინმე იდებდეს თავს და გადათარგმნიდეს ამ პიესას ქართულათ.

წარმოდგენა დასრულდა ინტერნაციონალის მომღერალ გუნდის მიერ შესრულებით.

**ს.**

---

## პროფესიონალურ კავშირებში

**ქალაქის მუშა-მელითონეთა კონფერენცია.**

კონფერენციის უკანასკნელ სხდომაზე მოხსენება გააკეთა მიმდინარე მომენტზე ამხ, ლოლობერიძემ. თავის მოხსენებაში ამხ. ლოლობერიძემ დაახასიათა რუსეთის პროლეტარულ რევოლიუციის განვითარების ძირითადი ეტაპები.

კონფერენციამ ამხ. ლოლობერიძის მოხსენების შემდეგ მიიღო რეზოლიუცია.

1. სამი წლის განმავლობაში საქართველოს მუშათა კლასი, კერძოდ მელითონენი მოწყვეტილი იყვნენ რევოლიუციის იმ გიგანტურ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის პროლეტარიატი მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, სამი წლის განმავლობაში საქართველოს მენშევიკური მთავრობა, რომელიც მოქმედებდა დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებთან ერთად, სისტემატიურათ ახრჩობდა მუშათა მოძრაობას. მენშევიკური ხელისუფლების დამხობა ნიშნავს მშრომელთა მასების კაპიტალისტების უღელისა და ანტანტის გავლენისაგან განთავისუფლებას.

2. კონფერენცია აცხადებს, რომ მელითონე მუშები, რომლებიც ყოველთვის და ყველგან იყვნენ პროლეტარიატის ავანგარდი, ყოველი ძალით დაიცავენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა ხელისუფლებას და ყველა საბჭოთა რესპუბლიკების რევოლიუციონურ მასსებთან ხელი-ხელ ჩაკიდებული იბრძოლებენ მსოფლიო კაპიტალის დასამხობათ. 3. კონფერენცია აღნიშნავს ქვეყნის მძიმე ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც გამოწვეულია საერთო მსოფლიო კრიზისისაგან და რომელიც ღრმავდება ადგილობრივ ბურჟუაზიის წინააღმდეგობით, აღიარებს, რომ ქვეყნის ეკონომიური მდომარეობის გაუმჯობესობა დამოკიდებულია მხოლოდ მშრომელებზე, რისთვისაც აუცილებელია წარმოების და შრომის დისციპლინის გაძლიერება, ჩვენ უნდა შევიდეთ ღარიბეს გლეხებთან მტკიცე კავშირში და მივიღოთ აქტიური მონაწილეობა მუშა და გლეხების ხელმწიფოს საერთო აღმშენებლობაში. გაუმარჯოს მშრომელთა მასსების ბელადს ამხ. ლენინს. გაუმარჯოს საბჭოთა საქართველოს.

**ფეიქართა კონფერენცია.**

22 აპრილს გაიხსნა ფეიქართა კავშირის კონფერენცია. გამგეობის მოღვაწეობაზე მოხსენებ სა და ამხ ნუცუბიძის მოხსენების „საწარმოვო კავშირის მნიშვნელობა და მიზანის"-ს შემდეგ კონფერენციამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: მოვისმინეთ რა მოხსენებანი, ჩვენ, ამიერ-კავკასიის საფეიქრო მრეწველობის დელეგატები, მივესალმებით საქართველოს რევკომს, როგორც მთელი ქვეყნის მუშათა ნებისყოფის ჭეშმარიტ გამომსახველს. ვესალმებით აგრეთვე რუსეთის პროლეტარიატს, რომელმაც პირველმა აფრიალა რევოლიუციის დროშა და შექმნა მსოფლიოს მშრომელთა ნების ერთად-ერთი გამომხატველი მძლავრი, რევოლიუციონური წითელი ლაშქარი. ანტანტა, რომელსაც მოაქვს ქვეყნიერებისათვის ნგრევა და განადგურება, რომელსაც არ ძალუძს სამეურნეო აპარატის მოწესრიგება, ამ ჟამად განიცდის თავის ისტორიულ არსებობის დასასრულს. რუსეთის პროლეტარიატი სხვა საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად და დასავლეთის მუშათა დახმარებით სასიკვდილო მახვილსა სცემს დასავლეთისა და სხვა კონტრრევოლიუციის ყველა ფრონტზე. საფეიქრო მრეწველობის მუშები გაძლევთ საქართველოს რევკომს და საქართველოს პროლეტარიატს თავისუფალ მოქალაქის სიტყვას და აღთქმასა ვსდებთ, რომ საქართველოს რევკომის პირველსავე მოწოდებაზე, ჩვენ, როგორც ერთი კაცი, გამოვალთ რევოლიუციის მტრებთან საბრძოლველად. ვიძლევით აგრეთვე სიტყვას და ვდებთ აღთქმას, რომ ყოველი ღონისძიებით ხელს შეუწყობთ შრომის ნაყოფიერებას, რათა აღვადგინოთ მრეწველობა საქართველოსა, საბჭოთა რუსეთსა და სხვა რესპუბლიკებში და ამით მხარი მივცეთ და გავამაგროთ საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიო რევოლიუციის დღეს. გაუმარჯოს საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებას, გაუმარჯოს მსოფლიო, სოციალისტურ რევოლიუციას და მის შტაბს მესამე კომუნისტურ ინტერნაციონალს. გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის ბელადებს, ლენინს, ტროცკის და სხვათ..

რეზოლიუციის გამოტანის შემდეგ აირჩიეს გამგეობის 11 წევრი, რომლებთაგანაც 9 წევრი დასახელებული იყო პროფკავშირების კომჩანასახების მიერ. გამგეობაში აირჩიეს: ამხ. აბრამოვიჩი, ავაქიანი, ალახვერდოვი, ამირბეკოვი, გუკოვი, კალინინი, მარტიროსიანი, ტერ-კირაკოზიანი, ფილატოვი, არეშიძე და ტუმასოვი. სარევიზიო კომისიაში არჩიეს ამხ. ობადოვსკი, ვლადარსკაია და ტერზიანი. კონფერენციაზე გადასწყდა ბეწვეულობის დამუშავებულთა კავშირს გამოეცვალოს ეს სახელი და დაერქვას მას საფეიქრო მრეწველობის მუშათა კავშირი.

პირველ მაისის შესახებ კონფერენციამ დაადგინა მიმართოს კავშირის ყველა კომიტეტების გამგეთ და კავშირის ყველა წევრთ შემდეგი მოწოდებით: „პირველი მაისი მთელი ქვეყნის მუშათა კლასის დღესასწაულია. ამ საზეიმო დღეს ჩვენ უნდა გამოვიდეთ, როგორც მუშათა კლასის ნაწილი, იმ კლასის, რომელმაც დაამსხვრია კაპიტალისტური მონობის უღელი და ეხლა განთავისუფლებულ ქვეყანაში პირველათ ხვდება თავისუფლად მშრომელთა დღესასწაულს. ამხანაგებო, ეხლავე შეუდექით საზეიმო თადარიგს. ემზადეთ მუშათა კლასის დღესასწაულისათვის. შეიძინეთ წითელი დროშები, ლენტები, პლაკატები, წითელი ფერი ნიშნავს მუშათა კლასის ბრძოლას და გამარჯვებას. დროშაზე და პლაკატებზე წასაწერი ლოზუნგები შეგიძლიანთ მიიღოთ კავშირში. მაშ, ასე, მოემზადეთ პირველ მაისის ზეიმისათვის, სადაც ჩვენ გამოვალთ და ამ გამოსვლით დავანახვებთ მუშათა კლასის მტრებს ჩვენ ძლიერებას, ჩვენს ერთობას და ძალას.

**წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.**

პროფკავშირების საბჭოს საკულტურო განყოფილებაში ამ ჟამად გაძლიერებული მუშაობა სწარმოებს იმის გამოსარკვევად, თუ რამდენია ყველა დაწესებულებებსა და სამრეწველოებში წერა-კითხვის უცოდინარი მუშა-მოსამსახურე. წინასწარი მუშაობა უკვე დაწყებულია: ბევრს ადგილას საკულ. განყოფილებამ გახსნა კლუბები, სამკითხველოები და წიგნსაცავები. გამართულია გრუსტასთან მოლაპარაკება საკულტურ. განყოფილებისათვის გაზეთების და ლიტერატურის მიწოდების შესახებ, რომლებსაც შემდეგ ეს განყოფილება გაანაწილებს სამრეწველოთა შორის. პირველ მაისის ზეიმის მოსაწყობად პროფკავშირების საბჭომ თავი მოუყარა კავშირის ყველა ძალას.

**მელითონეთა კავშირში.**

კავშირის გამგეობამ დაადგინა სთხოვოს საქართველოს რევკომს, რათა სასწრაფოთ გატაროს ცხოვრებაში დეკრეტი მუშებისთვის განზრახულ სახლების ჩამორთმევისა და მათი სათანადო კავშირების მიერ დამტკიცების შესახებ. ასეთი დეკრეტის გამოცემა ნაკარნახევია მუშათა საერთო მძიმე ეკონომიური მდგომარეობით.

მუშების სოფლად წასვლის შესახებ, გამგეობამ წინადადება მისცა ამხ. როხლინს აწარმოვოს ადგილობრივ ფართო აგიტაცია და დააჩქაროს ამხანაგურ დისციპლინალურ სასამართლოების შექმნა. გამგეობამ დაადგინა შუამდგომლობა აღძრას, რათა მიეზომოთ მიწის ნაჭრები და დაურიგდეთ საბოსტნე თესლეულობა.

# მუშათა ცხოვრება

**ქალაქის საზოგადო საავადმყოფო კასაში.**

ქალაქის საზოგადო საავადმყოფო კასის პრეზიდიუმმა 22 აპრილს სხდომაზე დაადგინა: სასწრაფოთ გახსნას ორთაჭალაში ამბულატორია.

იმავე კრებაზე დადგენილ იქმნა: აუწყონ ყველა დაწესებულებებს, რომ შრომის სახალხო კომისარიატის 14 აპრილის ცირკულიარის თანახმად, სამკურნალო დახმარება გადავიდა საავადმყოფო კასის ხელში და კასის გამგეობა სასწრაფოთ ღებულობს ზომებს სამკურნალო დახმარების სათანადოთ მოწყობისათვის, მანამდე კი საავადმყოფო კასა წინადადებას აძლევს ყველა დაწესებულებას, რომელნიც არ შედიოდნენ ყოფილ მექარხნეთა და მეფაბრიკეთა საზოგადოების ამბულატორიაში და თავის ხარჯით წამლობდნენ განაგრძონ წამლობა; 15 აპრილიდან წამლობა საავადმყოფო კასის ხარჯზე ჩაირიცხება.

საავადმყოფო კასის პრეზიდიუმმა სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატს სთხოვა დაუთმოს აბასთუმნის და ბორჯომის სანატორიებში 50 საწოლი კაცისა და 30 ქალისთვის. კასაში მონაწილეთათვის, რომელთაც ეჭირვებათ სანატორიული წამლობა.

საავადმყოფო კასის პრეზიდიუმმა დამოსაქვა აზრი ნავთლუღში ამბულატორიის გახსნის საჭიროების შესახებ, რადგანაც იქ თავმოყრილია რამდენიმე მსხვილი წარმოება: ქალაქის სასაკლაო, სახალხო მეურნეობის საბჭოს ფეხსაცმლების სახელოსნო, ან აგურ-ხანა და ბევრი წვრილი სახელოსნოები. განზრახულია ამბულატორია გაიხსნას სამი განყოფილებით: შინაგან და საბავშვო, ქირურგიულ და ქალთა სნეულებისთვის.

**ქალაქის 1 საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა კრება.**

1921 წ. 17 აპრილს მოხდა ქალაქის პირველ საავადმყოფოს მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრება. კრებას დაესწრო 173 კაცი და ჩაითვალა კანონიერათ. კრება გახსნა კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგმა პუდიკოვმა. საერთო კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ამხ. ფოფხაძე, მდივნათ—სვანიძე. მოხსენება გააკეთა სარევიზიო კომისიის წევრმა ამხ. ჩეპკალენკომ. მან აღნიშნა უსაზღვრო უმოქმედობა და საზოგადო ფულის გაფლანგვა, რის დასამტკიცებლად მოჰყავდა შესაფერი ფაქტები. ვინაიდან მოხსენებამ კამათი გამოიწვია და მისი გადაწყვეტა საერთო კრებაზე არ შეიძლებოდა, ის გადაეცა ადგილობრივ შემფასებელ კომისიას განსახილველად. შემდეგ მოხსენება გააკეთა დროებით კომიტეტის სახელით ამხ. სვანიძემ, რომელმაც აღნუსხა თუ რა პირობებში უხდებოდა დროებით კომიტეტს მუშაობა. კრებამ მოხსენებული მიიღო ცნობად და გადავიდა შემდეგ საკითხზე.

ვსემედიკ-სამტრუდას გამგეობის წარმომადგენელმა ამხ. ჩერკაშინმა მოხსენება გააკეთა წარმოებით პრინციპებზე აშენებულ კავშირების მუშაობის შესახებ, ამასთანავე ის შეეხო ადგილობრივ კომიტეტებს და მათი ფუნქციამოვალეობას საბჭოთა წესწყობილებაში, ნათლად დასახა ადგილობრივ კომიტეტის მიზანი-დანიშნულება და გაუსვა მისი დამყარების საჭიროება მკაცრ პროლეტარულ დისციპლინაზე.

კრება მოხსენებით კმაყოფილი დარჩა და მომხსენებელს მადლობა გადაუხადა. სიგვიანის გამო კომიტეტის არჩევნები გადაიდვა 18 აპრილისთვის. ამ დროს კრება შესდგა და მოხდა ადგილობრივ კომიტეტის არჩევნები, რომლის შემადგენლობაშიდაც შევიდნენ: ხმის უმრავლესობით—ჩეპკალენკო, ფოფხაძე, სვანიძე, მილენსკი, პუდიკოვი, ციციშვილი, და ლეონოვი. კანდიდატებათ: ალექსიძე, გარსევანიშვილი, კილოსანიძე და ოქროპირიძე. ამის შემდეგ მოხდა სარევიზიო კომისიის არჩევნები, რომელშიაც შედიან სოლდკოვი, ვასილიევი და სანიკიძე. კანდიდატებათ: აკოფოვი და გველესიანი. სარევიზიო კომისიაში და კომიტეტში გასული პირნი აგრეთვე დამტკიცებულ იქმნენ მომავალ ყრილობის დელეგატებათ. დაბოლოს მოხდა კულტურულ განმანათლებელ კომისიის არჩევნები, აირჩიეს გიგოლოვი, იანქოშვილი, ჩეპკალენკო.

კრების თავმჯდომარის მაგ. ციციშვილი.

მდივანი ტ. ხვანიძე.

# საქ. წითელ ლაშქარში

23 აპრილს, მე 3 ე მუშათა და გლეხთა წითელ ქართულ ლეგიონში გაიმართა საერთო კრება, რომელზედაც მოხსენებით მიმდინარე მომენტზე გამოვიდა ამხ. ბლ. ბობოხიძე, მოხსენების შემდეგ ლეგიონმა ერთ-სულოვნებით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „ჩვენ დღეს, თვალ ახილულებს, კარგათ გვესმის ვინ ყოფილა და არის ჩვენი მტერი და ვინ მოყვარე. ჩვენ ვგრძნობთ მშრომელთა ხალხის ჯალათებს და მტარვალებს—ვაჟბატონ მენშევიკებს, რომელნიც მხოლოთ იცავდნენ სპეკულიანტების და კაპიტალისტების ინტერესებს.

ძმური სალამით ჩვენ ვეგებებით რუსეთის წითელ ლაშქარს, რომელიც მედგრად იბრძვის და იბრძოლებს მშრომელთა განსათავისუფლებლათ კაპიტალისტების მონობისაგან.

პატიოსანს და ვაჟკაცურ ფიცს ვსდებთ მთელი ქვეყნის პროლეტარიატის წინაშე, რომ ჩვენ, წითელ არმიელები, ბრწყინვალეთ შევასრულებთ ჩვენს ვალს და გმირულათ გადაუდგებით წინ ყოველ გვარ კონტრ-რევოლიუციას, საიდანაც კი ის არ გამომდინარეობდეს.

გაუმარჯოს ხალხთა ძმობას!

გაუმარჯოს თავისუფლების მატარებელ ძლევამოსილ წითელ არმიას!

გაუმარჯოს საქ. სოც. საბჭოთა რესპუბლიკას.

# პროვინციაში

**მანგლისის რაიონი.**

**კულტურული მუშაობა.** მანგლისის კომპარტიასთან დაარსდა კულტურულ-განმანათლებელი სექცია. არჩეულ იქმნა პრეზიდიუმი სამი კაცისაგან: ამხ. კობიძე, გ. სახაცკი და არუთინოვი. პრეზიდიუმმა მოაწყო ოთხი განყოფილება: 1) ქართული წარმოდგენის მმართველი დასი; 2) რუსული დასი; 3) სიმებიანი ორკესტრი და 4) მომღერალთა გუნდი, რომელშიაც შედის 60 კაცი; არჩეულ იქმნა ორი რეჟისორი და ხელმძღვანელნი დასის ამხ. გრ. კობიძე და სახაცკი. სექციამ პირველი ლექცია-წარმოდგენა გამართა მანგლისში 17 აპრილს. ფარდის ახსნისას შეასრულა სიმებიანმა ორკესტრმა ინტერნაციონალი, რის შემდეგ წაკითხულ იქმნა ამხ. ციმბირელის და რუბენას მიერ მოხსენება კულტურული მუშაობის მნიშვნელობის შესახებ და მის აუცილებლობაზე. შემდეგ გამოვიდა ამხ. დემუროვი მოხსენებით მომენტზე. ბოლოს ქართულ ენაზე წარმოდგენილ იქმნა „ლექის ქალი გულჯავარ", დრამა სამ მოქმ. და რუსულ ენაზე: „სვახი", კომედია 2 მოქმ. წარმოდგენამ ძლიერ კარგათ ჩაიარა და ხალხიც ბლომათ დაესწრო. ბილეთები განაწილებული იქმნა იაჩეიკებზე საერთოთ, მუშებზე და გლეხებზე კი უფასოთ. წარმოდგენა გათავდა ღამის ორ საათზე და ხალხი დიდი ნასიამოვნები ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა.

სექციის გამგეობამ დაადგინა: ასეთი პროგრამით გაემგზავრონ ამ კვირაში დიდ თიანეთში და ს. პრიუტში. პირველი ნაბიჯი სექციის მეტად ინტენსიური იყო. იმედია, მომავალში უფრო მეტ ენერგიას გამოიჩენს სექცია.

**მიტინგი მუხრანში.**

19 აპრილს, 1921 წ., სოფელ მუხრანში მრავალრიცხოვანმა კრებამ, მოისმინა რა მოხსენება დუშეთის სამაზრო რევკომის თავმჯდომარის ამხ. აფციაურისა, ს. ლუკაშვილისა, ლ. ადამიძისა და სხვებისა, მიწის, ჯარის, მილიციის, სწავლა-განათლების და სხვადასხვა რეფორმების ცხოვრებაში გატარების შესახებ, გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მიტინგი ფიცსა სდებს მედგრათ დაიცვას საბჭოთა საქართველოს რესპუბლიკის ყველა კანონები, მხურვალე სალამს უძღვნის საქართველოს რევკომს, როგორც მშრომელი ხალხის ნამდვილი ინტერესების დამცველს. გაუმარჯოს მთელი ქვეყნის პროლეტარიატს და მის დიქტატურას! გაუმარჯოს კომუნიზმს!

საქ. კომპარტიის მუხრანის ორგანიზაციის მდივანი ხერგო ფირუმოვი.

პანკისი, (თიანეთის მაზრა) 15 აპრილს, 1921 წ. პანკისის მცხოვრებლების სახალხო მიტინგმა მოისმინა რა მოხსენება პანკისის ორგანიზაციის წევრის დიმიტრი კოზაევისა, მიმდინარე მომენტზე და ორგანიზაციის მიზნის შესახებ. დაადგინა: დღევანდელ მრავალ რიცხოვანი მიტინგი, აღფრთოვანებული მიესალმება რუსეთის კომუნისტური პარტიის მეათე ყრილობას, რომლის იდეები და მუშაობა ფრთებს გვასხამს ჩვენ მძიმე მუშაობაში. იმედი გვაქვს ძრიელ მალე მიღწეული იქნება მიზანი მუშაობისა.

ყრილობის დავალებით დ. კოზაევი.

**მიხალმება საქ. რევკომს.**

ჩვენ, ბადიაურის სახელმწიფო ახლად ასაგებ წისქვილის მუშები შევიკრიბენით რა მუშაობის გახსნების დღეს, გიძღვნით მუშურ სალამს თქვენ, როგორც დამცველს მშრომელ გლეხკაცობისას და მუშებისას.

მზათა ვართ დავიცვათ ჩვენ ის წითელი დროშა, რომელიც თქვენ აფრიალეთ საბჭოთა საქართველოში მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ.

კრების თავმჯდომარე დათიკო ფანცულაია.

მდივანი გიორგი დვარევიძე.

# წერილი რედ. მიმართ

**ღია წერილი ცენტრალური საბინაო განყოფილების თავმჯდომარეს.**

ეს ერთი ხანია მეეჭდავეთა პროფკავშირის გამგეობას მოსდის ცნობები და საჩივრები, რომ ამ კავშირის წევრებს—მუშებს ბინებიდან გარეთ ყრიან.

ერთი ჩვენი საუკეთესო ამხანაგი ვანო ბოლქვაძე ცოტა აკლდა რომ თავისი ოჯახობით და წვრილი შვილებით ქუჩაში არ გამოუძახეს! მეორე ამხანაგ მიკირტიჩიანისთვის ხელწერილი ჩამოუთმევიათ, რომ მან ოცდაოთხ საათში უნდა გაანთავისუფლოს ბინა, სადაც იგი სცხოვრობდა. ორივე შემთხვევაში დანამდვილებით ვიცი, რომ მათ ჰქონდათ კანონიერი ორდერები მიჩენილ ბინაზე და როგორ მოხდა, ან როგორ ხდება, რომ ერთ და იმავე ბინაზე ორი და სამი ორდერი იწერება სხვა და სხვა პირებზე?!.

რაშია საქმე?!.

ამ ხანად მე საჭიროდ როდი მიმაჩნია იმის მტკიცება, თუ რა საჭიროებას, რა აუცილებლობას წარმოადგენს მუშებისათვის რიგიანი საცხოვრებელი ბინა. ასეთი საჭიროება და აუცილებლობა სულ მოკლე დროში უზრუნველყოფა მუშებისა ბინებით თქვენთვის აშკარაა და ამის სასწრაფოდ და გადაუდებლად ცხოვრებაში გატარებას მოითხოვს მთელი მუშათა კლასი.

ჩვენ გვეყო ბნელ და ნესტიან სარდაფებში ცხოვრება და ეხლა ასეთ მოვლენებს, რომლებიც მე ზევით დავასახელე ალაგი არ უნდა ჰქონდეს. იქნებ ასეთ დაუშვებელ საქმეებს განგებ აწყობენ ზოგიერთი თანამშრომლები?!. მტერმა იცის, სად და რით აამღვრიოს წყალი, რომ აქ უფრო ადვილი იყოს თევზის ჭერა და ამავე დროს ჩვენს საერთო მუშურ-გლეხურ აღმშენებლობის საქმეში არევ დარევა შეიტანონ! დასახელებულ ორ მაგალითს გარდა არის კიდევ სხვა საჩივრები მუშების ბინებიდან გამორეკის შესახებ და ამავე ბინების დაჭერის ისეთი საეჭვო პირებისაგან შესდგება, რომ ძალა-უნებურად ვიღაცა ბოროტი ხელის საქმიანობას უნდა მიაწეროს. მაგ. ერთ-ერთ ბინიდან არ გადაასახლეს ერთი პირი, რომელიც არის ყოფილი ხარკოვის საკატორღო ციხის უფროსი და ამხანაგ მუშებს კი, გუშინ ციხეებიდან გამოსულებს ქუჩაში ერეკებიან. ასეთ მოვლენებს ალაგი არ უნდა ჰქონდეს და იმედია თქვენ სათანადო ზომებს მიიღებთ.

ამისათვის კი საჭიროა, რომ პროფკავშირებთან არსებულ მუშათა სამეულთან იყოს მჭიდრო კავშირი და მათი დაუკითხავად მუშათათვის ბინის საკითხი არ უნდა სწყდებოდეს. დასახელებულ ფაქტების მეტი გაშუქება აქ არ შემიძლიან და თუ ისურვებთ დაწვრილებით გაგებას—გაიხმეთ მეეჭდავეთა პროკავშირთან არსებული საბინაო სამეულის წარმომადგენელი.

ხანდრო იაშვილი.

ამხ. რედაქტორო!

გთხოვთ დამიბეჭდოთ შემდეგი: დღეიდან ს. სოც.-ფედერალისტთა პარტიის წევრათ თავს აღარ ვთვლი, რადგან სავსებით ვიზიარებ ს. კომუნისტურ პარტიის პლატფორმას.

სახ. უნივერ. სტუდ. კავშ. ყოფილი თავმჯდომარე **ანტიოხ ახათიანი.**

— **საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი** მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— **საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი**—რუსთაველის პრ., 22. ტელ. 5—74.

— 1-ლი რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136, თეატრი „ნაძალადევი". ტელ. 1—33.

— მე-2-რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ № 87. ტელ. 5—69.

— მე-3-მე რაიონის ბიურო— ავლაბარი, კახეთის მოედანი. 5—58.

— მე 4 ხე რაიონის ბიურო—ოლღას ქ. 29 „მუშათა კლუბის" შენობაში. 9—52.

მე 5-თე რაიონის ბიურო—ბებუთის ქუჩა.

— **საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცეკა**—რუსთაველის პრ. 22.

**ხარედაქციო კოლეგია.**

# თბილისის სამაზრო სამხედრო კომისარი

აცხადებს, რომ თანახმათ სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატის 11 აპრილის № 15 ბრძანებისა, უნდა ჩაირიცხონ ს. ს. ს. რ. წითელ ლაშქარში ყველა მოქალაქენი, დაბადებულნი 1899 და 1900 წ., გამოცხადებისაგან არ თავისუფლდებიან ის პირნიც, რომლებიც განთავისუფლდნენ სამსახურიდან, როგორც ოჯახის ერთათ ერთი მარჩენალი. უნდა გამოცხადდნენ ხელახლა შესამოწმებლათ ის პირნი, რომლებიც იყვნენ დროებით ან სამუდამოთ დათხოვნილი ავადმყოფობის გამო. გასაწვევ ჰასაკის ყველა მოწაფეთ და სტუდენტებს, რომლებიც ამ ჟამათ სწავლობენ, სასწავლებლის სათანადო მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, მიეცემათ მოწმობა ვადის გაგრძელების შესახებ შესაფერ დეკრეტის გამოსვლამდე. ვინაიდან ჩემდამი რწმუნებული კომისარიატი საბოლოვოთ ჯერ არ მოწყობილა, საუბნო სამხედრო ხელმძღვანელებს, რომლებიც დანიშნულია ქალაქში და მაზრებში, შესაკრებ პუნქტათ ვნიშნავ ქ. თბილისს ჩემდამი რწმუნებულ კომისარიატის სამართველოსთან (ფეირვერკის და ანდრეევის ქ. კუთხე № 17/53).

გამოცხადების წესი იქნება შემდეგი: 22 აპრილს უნდა გამოცხადდნენ ქ. თბილისის 1, 2, 3 და 4 უბანში მცხოვრებნი, 23 აპრილს—5, 6, 7 და ყველა ის, რომელიც 22 აპრილს სხვადასხვა მიზეზების გამო არ გამოცხადდნენ, 25,—8, 9 10, 26 აპრილს—11, 12, 13 უბნის და ყველანი, რომლებიც არ გამოცხადებულან წინა დღეებში, 27—ქალაქის მიდამოების, თბილისის მაზრის სართიჭალის და მოსკოვის რაიონების, 23 აპრილს—თბილისის მაზრის, საგარეჯოს, ყარაიაზის და ასურეთის რაიონები. 29 აპრილს—მანგლისის და ალბულაღის (ბელი-კლუჩი).

თბილისის მაზრის რაიონების სამხედრო კომისარი ნადირაძე.

ხუთშაბათს, 28 აპრილს დილის 11 საათზე, რეალურ სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია.

# თბილისის მასწავლებელთა პროფეს. კავშირის საერთო კრება.

წესრიგი: 1) საკითხი კავშირის რეორგანიზაციის შესახებ.
2) მიმდინარე საკ თხები.

1 მაისისთვის გამოვა საქართველოს წითელ ლაშქრის გაზეთი

# „წითელი მხედარი"

რედაქციის მისამართი: პოლიტიკური განათლების მთავარი მმართველობა. სახალხო განათლების კომისარიატთან.

# სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისაგან

ყველა პირებისათვის, რომლებსაც ესაჭიროება სოციალური დახმარება, ქალაქ თბილისის რევკომის უზრუნველყოფის განყოფილებამ დააწესა თხოვნების მიღების შემდეგი პუნქტები:

პუნქტები № 1—ლაზარევის ქუჩა № 1 (ავლაბარი).
„ № 2—ალექსანდროვის ქუჩა № 42 (კუკიაში).
„ № 3—ბოტანიკური ქუჩა № 4 (თათრის მოედანი).

აღნიშნული პუნქტები თხოვნებს იღებენ დილით საათის 10-დან 1-დე.

ხუთშაბათს, აპრილის 28-ს, სალამოს 5 საათზე, კინო-თეატრ „მინიონ"-ში შესდგება.

# პროფესიონალურ კავშირთა პლენუმის

და პროფკავშირთა გამგეობის და საქარხნო კომიტეტების გაფართოვებული სხდომა.

ს. კ. პ. ს. პრეზიდიუმი.

# ორგანიზაც. და დაწესებულებების საყურადღებოთ

ცხადდება, რომ გაზ. „კომუნისტში" დასაბეჭდი განცხადებები და ანგარიშები უნდა იყოს შედგენილი ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დაწერილი მასალა არ მიიღება

ტირაჟი 7000 ... ცენტრალური კომიტეტის სტამბა. კრუზენშტერნის ქ. № 4